დანართი №3

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის
ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
ქეთევან ბოტკოველი (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრები:
დავით კუპატაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ქრისტინე ახალაძე - დარგის ექსპერტი - "გემბანის რიგითი მეზღვაური", ''სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური''

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი:**24562481**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის MES 9 25 0000492949 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომრე - ქეთევან ბოტკოველი - - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი; წევრები: დავით კუპატაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი; ქრისტინე ახალაძე - დარგის ექსპერტი - "გემბანის რიგითი მეზღვაური", ''სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური') - .დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ქ. ბათუმის, შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორში 2025 წლის 24, 25 და 26 ივნისს.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
"გემბანის რიგითი მეზღვაური",	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ.N33; ბათუმგორის ჩიხი N2.
"სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური"	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ.N33; ბათუმგორის ჩიხი N2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
"გემბანის რიგითი მეზღვაური",	140	75	1	-
"სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური"	140	31	1	-

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	**■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
"გემბანის რიგითი მეზღვაური",	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
"სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური"	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორის 2.2.1.4 რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს რეგულარული კავშირი დარგობრივ ექსპერტებთან და დამსაქმებლებთან, რათა პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები მუდმივად შესაბამისობაში იყოს საზღვაო სექტორის მიმდინარე მოთხოვნებთან.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

არგუმენტირებული პოზიციით დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;**

სსსც „ეკვატორის“ მისიაა საზოგადოებას შესთავაზოს მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში. ცენტრი მიზნად ისახავს საერთაშორისო და შიდა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კომპეტენციების მქონე, კონკურენტუნარიანი მეზღვაურების მომზადებას.

აღნიშნული მისია სრულად შეესაბამება საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და მიზნებს, როგორიცაა:

- **პიროვნული და პროფესიული განვითარება** – ცენტრის მისია ემსახურება კონკურენტუნარიანი მეზღვაურების მომზადებას, რაც გულისხმობს პროფესიული უნარების განვითარებასა და ინდივიდის კარიერული პროგრესის ხელშეწყობას;
- **დასაქმების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირება** – პროგრამები მორგებულია შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს, რაც აძლიერებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შანსებს როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ მასშტაბზე;
- **სწავლის ხარისხი და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა** – სწავლება ხორციელდება თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს და უსაფრთხო სასწავლო გარემოს.

ინდიკატორის 1.1.1.1.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;**

მისიის ტექსტიდან აშკარად იკვეთება, რომ ცენტრი პროფილური საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც სპეციალიზებულია საზღვაო ტრანსპორტის მიმართულებით და ორიენტირებულია პროფესიონალი კადრების მომზადებაზე. მისია მოკლედ, მკაფიოდ და მოტივაციურად ასახავს ორგანიზაციის მიზანს, რაც ამაღლებს მის კომუნიკაციურ ეფექტიანობას. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი ხაზს უსვამს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მჭიდრო შესაბამისობასა და თანამშრომლობას, რაც განაპირობებს საზოგადოებრივ საჭიროებებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის 1.1.1.2.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსსც „ეკვატორის“ ხედვა და ღირებულებები სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და ასახავს იმ პრინციპებსა და მიდგომებს, რომლებიც აუცილებელია მისიის შესრულებისთვის. ისინი მიზნად ისახავენ კოლეჯის განვითარების იმ სტრატეგიული მიმართულებების მხარდაჭერას, რომლებიც პირდაპირ გამომდინარეობს მისიის შინაარსიდან.

ხედვა

ჩვენი ხედვაა შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ კოლეჯის, როგორც საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში ერთერთი წარმატებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაცია.

სსსც „ეკვატორის“ უნიკალურ გამოცდილებას განსაზღვრავს ღირებულებები, რომლებიც ემყარება:

- გუნდურ მუშაობას
- ეთიკურ და პასუხისმგებლიან ქცევას
- განვითარებისკენ მუდმივ სწრაფვას
- პროფესიონალიზმს
- და საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების დარგისადმი ერთგულებას

აღნიშნული ღირებულებები ხელს უწყობს საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც იზრდება თითოეული მონაწილის მოტივაცია, ხარისხისაკენ სწრაფვა და პროფესიული თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კოლეჯის მისიის პრაქტიკულ განხორციელებას.

ინდიკატორის 1.1.1.3.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

„სსსც ეკვატორის“ დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №21 ბრძანებით დამტკიცებული ნდ №2 02-07 -„სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სსსც „ეკვატორის“ მისია, ხედვა და ღირებულებები ჩამოყალიბდა საზოგადოების სხვადასხვა წევრის აქტიური მონაწილეობის შედეგად. პროცესში ჩართულნი იყვნენ დამფუძნებელი, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ინსტრუქტორები და დამსაქმებლები. მისიის, ხედვისა და ღირებულებების სამუშაო ვერსიები გამოქვეყნდა კოლეჯის ვებგვერდზე და გაიგზავნა დაინტერესებული მხარეებისთვის კორპორატიული ელ.ფოსტის მეშვეობით. ინიციატივის მიზანი იყო შენიშვნებისა და წინადადებების მიღება, რაც უზრუნველჰყოფდა იდეების ფართო განხილვასა და კონსენსუსზე დაფუძნებულ საბოლოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფორმირებას. შედეგად, მიღებული იქნა შეთანხმებული და გაზიარებული მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც განთავსდა როგორც კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ფიზიკურ სივრცეში — დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორის 1.1.1.4.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსსც ეკვატორის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- დაწესებულების საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები;
- „სსსც ეკვატორის“ დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №21 ბრძანებით დამტკიცებული ნდ №2 02-07 -„სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდო ლოგია“;
- დაწესებულების ვებგვერდი;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ ხელმძღვანელობს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით (ნდ №2-02-07), რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №21 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სტრატეგიული მართვის პროცესების ძირითად ჩარჩოს და შემუშავებულია საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მეთოდოლოგია ეფუძნება PDCA (Plan–Do–Check–Act) ციკლს, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯის უწყვეტ განვითარებასა და პროცესებში პერსონალის მაღალი ხარისხის ჩართულობას.

შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:

1. **ინფორმაციის შეგროვება, კვლევა და ანალიზი** – მოიცავს როგორც შიდა პროცესების მონაცემების შეგროვებას, ისე ბენეფიციარებისა და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების, საჭიროებების და მოლოდინების ანალიზს. პარალელურად ხორციელდება შიდა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის შეფასება;
2. **სტრატეგიული გეგმის შემუშავება ან რევიზია** – არსებული ინფორმაციის საფუძველზე კოლეჯი ადგენს გრძელვადიან პრიორიტეტებს და განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებებს;
3. **სამოქმედო გეგმის შემუშავება ან განახლება** – ამ ეტაპზე ხდება სტრატეგიულ მიზნებზე დაყრდნობით მოკლევადიანი ამოცანების, აქტივობების, პასუხისმგებელი პირებისა და ვადების დეტალური განსაზღვრა;
4. **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება** – კოლეჯი სისტემურად აანალიზებს მიღწეულ შედეგებს, აიდენტიფიცირებს გამოწვევებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს გეგმებში ცვლილებებს.

როგორც კოლეჯის ხელმძღვანელობასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ამჟამად ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის (2025–2031 წწ.) პროექტზე, რომელიც ორიენტირებულია შემდეგ მიმართულებებზე:

- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;
- პროფესიულ სექტორთან ინსტიტუციური კავშირების გაძლიერება;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

პროცესში ჩართულნი არიან (დირექტორის ბრძანება N02, 12.06.2025 - სტრატეგიული გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ) კოლეჯის დამფუძნებელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პროფესიული განათლების სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის მართვის მენეჯერი, დამსაქმებელი („ატლანტა ჯორჯია“), პროგრამის ხელმძღვანელი (სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა), პროგრამის ხელმძღვანელი (გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა), პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული სტუდენტი, კურსდამთავრებული.
აღნიშნული პროცესი ხაზს უსვამს კოლეჯის სისტემურ და სტრუქტურულ მიდგომას ხარისხიანი, მიზნობრივი და მონაცემებზე დაფუძნებული სტრატეგიული მართვის განხორციელების მიმართულებით.
ინდიკატორის 1.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;**

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ემყარება ცენტრის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გამოყენებული იყო დაწესებულების მიერ შექმნილი მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიანი სტრატეგიის რეგულარულ მონიტორინგსა და შეფასებას.
აღნიშნული პროცესის ფარგლებში, სსსც-ის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სტრატეგიის მონიტორინგისა და განვითარების სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის მიზანი იყო არსებული გეგმის შეფასება და ახალი სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავება.
სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა ჩართული იყო სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით იდენტიფიცირებული ყველა დაინტერესებული მხარე:

- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი;
- პროფესიული მასწავლებლები, ინსტრუქტორები;
- პროფესიული სტუდენტები, მსმენელები;
- დამსაქმებლები;
- კურსდამთავრებულები;
- სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში.

გარდა ამისა, ჯგუფში ჩართულნი იყვნენ პირები, რომლებიც ფლობენ ღრმა ცოდნას ქვეყნის, რეგიონისა და თემატური სფეროს განვითარების პრიორიტეტებზე. მათ შორის იყვნენ დარგის სპეციალისტები, რეგიონული დარგობრივი უწყებების წარმომადგენლები და სხვა პარტნიორები, რომელთაც საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროფესიული განათლების განვითარებაში.
ინდიკატორის 1.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დირექტორის 2019 წლის 10 ივნისის №06 ბრძანებით დამტკიცებულია **შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019–2025 წწ.)**.

გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა სპეციალურად დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობა მოიცავდა:

- დაწესებულების რესურსების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების შეფასებას;
- შრომის ბაზრის ტენდენციებისა და დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზს;
- პროფესიული განათლების სფეროში შესაბამისობის კრიტერიუმების განსაზღვრას.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა სტრატეგიული გეგმა, რომელიც ასახავს ეროვნულ და სექტორულ პრიორიტეტებს და მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და გაუმჯობესება;
2. პროფესიული საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება;
4. სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება;
5. ორგანიზაციული გაძლიერება და დაწესებულების პოპულარიზაცია;
6. საზღვაო სფეროში ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებზე ორიენტირება.

სტრატეგიული გეგმა აგებულია შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებზე:

- მიზნები და მათთან დაკავშირებული ამოცანები;
- შესრულების ვადები და ინდიკატორები;
- განსახორციელებელი აქტივობები;
- საჭირო რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური);
- პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები.

სსსც „ეკვატორის“ დირექტორის 2025 წლის 30 იანვრის №1407 ბრძანებით დამტკიცებულია **2025 წლის სამოქმედო გეგმა**, გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მიზნები და ამოცანები;
- აქტივობები და მათი ვადები;
- შესრულების ინდიკატორები;
- პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები;
- პროცესში ჩართული სხვა მხარეები;
- ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები;
- დაფინანსების წყარო;
- შესრულების სტატუსი.

პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების განხილვა ცხადყოფს, რომ ფუნქციების გადანაწილება სრულად შეესაბამება პერსონალის სამუშაო აღწერილობებსა და დადგენილ მოვალეობებს. ამასთან, დგინდება, რომ სამოქმედო გეგმა შინაარსობრივად ეფუძნება სტრატეგიულ დოკუმენტს.

ორივე დოკუმენტის თანმიმდევრული ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მისიის შესაბამისი მიზნები და ამოცანები, რაც საფუძველს ქმნის მის ეფექტიან ფუნქციონირებასა და განვითარებაზე ორიენტირებული მმართველობისთვის.

ინდიკატორის 1.2.1.3.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სსსც ეკვატორის“ დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №21 ბრძანებით დამტკიცებული ნდ №2-02-07 -„სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია“.
- .„სსსც ეკვატორის“ ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია სსსც ეკვატორის-ს მისია, ხედვა, ღირებულებები;
- „სსსც ეკვატორის სტრატეგიული განვითარების გეგმა“ (2019-2025);
- „სსსც ეკვატორის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“ 2025წ.;
- „სსსც ეკვატორის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2019-2025) დამტკიცების აქტი ;
- „სსსც ეკვატორის“ სტრატეგიული განვითარების გრძელვადი გეგმის მონიტორინგის შედეგები (2019 -2025);
- „სსსც ეკვატორის“ სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის (2025-2031) პროექტი.
- ვებ-გვერდის ბმული - http://equator.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „სსსც ეკვატორის 2019 წლის 10 ივნისის №06 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) გეგმა“ (2019-2025);
- სსსც ეკვატორის დირექტორის 2025 წლის 30 იანვრის №1407 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025).

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიული სტუდენტების უფლებები და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული პრინციპები დეტალურად არის განსაზღვრული შიდა დოკუმენტით – „სსსც ეკვატორის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი“, რომელიც წარმოადგენს სტუდენტთა დაცვის მექანიზმების ზოგად ჩარჩოს.

სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის სამართლებრივი ბაზა ეფუძნება რამდენიმე შიდა მარეგულირებელ აქტს, მათ შორის: სსსც ეკვატორის შინაგანაწესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები; ასევე სხვა შიდა აქტები და დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებს სწავლების პროცესის სწორად წარმართვასა და სტუდენტების კეთილსინდისიერ სამართლებრივ დაცვას.

დამატებით, პროფესიული სტუდენტისა და სსსც ეკვატორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის სწავლების პირობებს, სწავლის საფასურს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ანგარიშსწორების წესს, ხელშეკრულების მოქმედებისა და შეწყვეტის საფუძვლებს, სადაო საკითხების გადაწყვეტის მექანიზმებსა და სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ პირობებს.

სსსც ეკვატორის შიდა რეგულაციები ასევე განსაზღვრავს ქცევის წესებს, ეთიკური საკითხების მართვის პროცესს და იმ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტსა და დაწესებულებას შორის ურთიერთობის თანასწორობასა და სამართლიანობას. აღნიშნულ რეგულაციებში გათვალისწინებულია ის ძირითადი საკითხებიც, რაც შეეხება სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, აღდგენასა და შეწყვეტას, ასევე მობილობისა და ფორმალური განათლების აღიარების წესებს.

სტუდენტთა ინტერესების დაცვა ასევე გარანტირებულია იმ დოკუმენტებით, რომლებიც არეგულირებს სწავლის შედეგების შეფასების პროცესს, სტუდენტური ინიციატივების წახალისებასა და ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელებას. შედეგად, სსსც ეკვატორის სამართლებრივი და შიდა რეგულირების ჩარჩო ქმნის საფუძველს სტუდენტების უფლებების დაცული, გამჭვირვალე და განათლებაზე ორიენტირებული გარემოსთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული სტუდენტის უფლებებთან და გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა სტატუსის მინიჭება, მობილობა, სტატუსის შეჩერება, სტატუსის აღდგენა, სტატუსის შეწყვეტა, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება და დაადგინა, რომ აღნიშნული წარმოებები კოლეჯმა დადგენილი წესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანახმად განახორციელა. შესაბამისად, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები.

ინდიკატორის (3.1.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

შესაბამისი დოკუმენტაციისა და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით გაირკვა, რომ სსსც „ეკვატორი“ პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, პერიოდულად აწყობს საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრებს. ეს შეხვედრები ეწყობა როგორც ახალჩარიცხულ სტუდენტებთან, ასევე მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე.

ახალჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზებას ახდენს სტუდენტთა კარიერული განვითარების და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. შეხვედრებს ესწრებიან სსსც „ეკვატორის“ ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები და პროფესიული მასწავლებლები. შეხვედრების მიზანია სტუდენტებს გააცნონ მათი უფლებები, ვალდებულებები, სასწავლო პროცესი და კოლეჯის პერსონალი, რომელიც მათ დასახმარებლად არსებობს. ასევე, სტუდენტებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და თანამშრომლობის წესების შესახებ.

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სტუდენტებს აცნობს:

- სსსც „ეკვატორის“ მისია და შინაგანაწესი;
- პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და ვალდებულებებს;
- სასწავლო პროგრამას და კალენდარს;
- მეცადინეობის განრიგს;
- შეფასებისა და აპელაციის წესებს;
- პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მეთოდებს;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს;
- კოლეჯის თანამშრომლებსა და მათ მიერ გაწეულ სერვისებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და კარიერული განვითარების მენეჯერი სტუდენტებს აცნობს:

- პროფესიული სტუდენტების სერვისებსა და მხარდაჭერის ღონისძიებებს;
- ინიციატივების წარდგენისა და მხარდაჭერის წესებს;
- ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზებას და სტუდენტთა ჩართულობის მნიშვნელობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალური მონაცემების დაცვის წესებს;
- სხვა მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე საკითხებს.

ბიბლიოთეკის პერსონალი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას:

- საბიბლიოთეკო სერვისებზე და მათი გამოყენების წესებზე;
- მკითხველად რეგისტრაციის ვალდებულებაზე;
- ბიბლიოთეკის ინიციატივებით დაგეგმილ აქტივობებზე;
- სხვა საჭირო საკითხებზე.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და პირველადი სამედიცინო დახმარების პასუხისმგებელი პირი სტუდენტებს აცნობენ:

- სამუშაო და სასწავლო პროცესში უსაფრთხოების წესებს;
- პირველადი სამედიცინო დახმარების ღონისძიებებს და პასუხისმგებელ პირებს;
- სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტებთან ტარდება გაერთიანებული შეხვედრები სასწავლო პროცესის მიმდინარე საკითხების განხილვისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ. პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე სავალდებულოა ინსტრუქტაჟი. წელიწადში ერთხელ სსსც „ეკვატორში“ ტარდება პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რომელიც ასახავს მათი უფლებების დაცვის ხარისხს. კვლევის შედეგებს აანალიზებს ხარისხის მართვის მენეჯერი და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს შესაბამის ცვლილებებს. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ არ დაფიქსირებულა პროფესიული სტუდენტების საჩივრები მათი უფლებების დარღვევის თაობაზე.

ინდიკატორის (3.1.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;**

სსსც „ეკვატორში“ შეფასების სისტემა და პროცედურები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს შეფასების პროცესის გასამართად. ექსპერტთა შეფასებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ინფორმირების პროცესი ეტაპობრივად და სხვადასხვა ფორმატით ხორციელდება. სტუდენტები პირველად ეცნობიან შეფასების სისტემის ძირითად პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საორიენტაციო შეხვედრის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სწავლის დაწყებისთანავე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმირებას.

დეტალური ინფორმაცია შეფასების წესებისა და კონკრეტული ტიპის შეფასებების (განსაზღვრელი, განმავითარებელი) შესახებ სტუდენტებს მიეწოდებათ სწავლის პროცესში. ამ პროცესში ჩართული არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და თანახელმძღვანელები, ასევე სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. შეფასებების განრიგი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია წინასწარ შედგენილი სასწავლო გრაფიკის მიხედვით. შეფასების ორგანიზების დეტალები სტუდენტებს მიეწოდებათ როგორც წერილობითი ფორმით (ელექტრონული ფოსტით), ისე ზეპირად, პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მეშვეობით. შეფასების შედეგების გაცნობა პროფესიულ სტუდენტისთვის ხდება ინდივიდუალურად — პირისპირ შეხვედრისას სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან ან მოდულის განმახორციელებელ პირთან, ან ელექტრონულად. შედეგები ხელმისაწვდომია არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასება ტარდება ზეპირი გამოკითხვის ან დაკვირვების გზით, შედეგები დაუყოვნებლივ ეცნობება სტუდენტს შეფასების დასრულებისთანავე.

შეფასების პროცესს თან ახლავს უკუკავშირის მექანიზმი. პროფესიული განათლების მასწავლებლები სტუდენტებს ინდივიდუალურად აწვდიან კომენტარებს მათ მიერ შესრულებული დავალებების შესახებ. უკუკავშირის დროს მკაცრად დაცულია პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა — აკრძალულია კონკრეტული სტუდენტის შედეგების საჯაროდ განხილვა ჯგუფში. მსგავს შემთხვევებში შედეგები განზოგადებული სახით განიხილება, ხოლო ინდივიდუალური განხილვა ხდება პირად შეხვედრაზე.

პროფესიულ სტუდენტებს გააჩნიათ უფლება, სსსც „ეკვატორის“ მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, გაასაჩივრონ მიღებული შეფასების შედეგები. მიუხედავად ამ შესაძლებლობის არსებობისა, პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

სწავლების პროცესში სტუდენტთა ინფორმირება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური შეტყობინებით — სსსც „ეკვატორი“ აქტიურად ცდილობს, შეფასების სისტემა იყოს გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და სწორად გაგებული. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევები, რომლებიც მოწმობს ინფორმირებულობის მაღალ დონეს: გამოკითხულთა 95% ადასტურებს, რომ სრულად ფლობს ინფორმაციას როგორც შეფასების მექანიზმების, ისე შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ.

ინდიკატორის (3.1.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსსც „ეკვატორი“-სა და პროფესიულ სტუდენტებს შორის დადებული ხელშეკრულებები სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერ ინტერესების დაცვას. ხელშეკრულებათა პირობები თავსებადია როგორც მოქმედ კანონმდებლობასთან, ისე კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არასრულწლოვან სტუდენტებთან დაკავშირებულ რეგულაციებს. ამ კატეგორიის სტუდენტებისთვის ხელშეკრულება ფორმდება კანონიერ წარმომადგენელთან, შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით.

საკითხის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევითი წესით შეისწავლა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. გაანალიზდა მათთან (ან/და მათი კანონიერი წარმომადგენლებთან) გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსი. დადგინდა, რომ ყველა დოკუმენტი შეესაბამება როგორც სამართლებრივ ნორმებს, ასევე კოლეჯის შიდა დებულებებს და არ შეიცავს წინააღმდეგობრივ ჩანაწერებს.

მიღებული მიგნებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიულ სტუდენტებს გარანტირებული აქვთ სამართლებრივი დაცვა, და ამ მექანიზმით სრულად უზრუნველყოფილია როგორც მათი უფლებები, ისე კანონიერი ინტერესები.

ინდიკატორის (3.1.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

სსსც „ეკვატორში“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება რეგულირდება დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის №10 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის“ მე-6 მუხლით. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს ინდივიდუალური გეგმის შექმნის წესსა და პროცედურას, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების (შეზღუდული შესაძლებლობები, სტატუსშეჩერების შემდეგ დაბრუნება, მობილობა, წინამსწრები განათლების აღიარება და სხვა შემთხვევები) გათვალისწინებას. რეგულაცია სრულად შეესაბამება მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოს და წარმოადგენს პრაქტიკულად გამართულ მექანიზმს. მიმდინარე ეტაპზე, სსსც „ეკვატორში“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება არ დაფიქსირებულა.

ინდიკატორის (3.1.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის 2018 წლის 26 დეკემბრის №07 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; პროფორიენტაციისა და საორიენტაციო შეხვედრის ფარგლებში შემუშავებული პრეზენტაციები;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის პროცესის ორგანიზების დოკუმენტები;
- პროფესიული სტუდენტების სტატუსის მინიჭების ბრძანება;
- პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების დოკუმენტები;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის დოკუმენტები;
- პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები;
- პროფესიული სტუდენტების, მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, სადაც განთავსებულია კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სსსც „ეკვატორში“ პროფესიული სტუდენტების აკადემიური მხარდაჭერა რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის №1859 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“ მუხლი-3, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტთა კონსულტირების წესს სწავლის მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.

გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ შეფასების პროცესის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები უწყვეტად იღებენ შესაბამის კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო სირთულეების დაძლევის მიზნით. აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში:

- პროფესიული განათლების მასწავლებლები ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ატარებენ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ სტუდენტებთან, რომელთაც სწავლაში დაბალი შედეგები ან სირთულეები აღენიშნებათ. შეხვედრის ფარგლებში დეტალურად განიხილება სტუდენტის არსებული შედეგები და მათი გაუმჯობესების გზები;
- თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ ორგანიზდება ჯგუფური შეხვედრები, რომელთა მიზანია პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლების პროცესში მიღებული გამოცდილების გაზიარება და იმ საკითხების ერთობლივად განხილვა, რომლებიც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევა.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მხარდაჭერის მექანიზმების თანხვედრას და ემსახურება პროფესიული სტუდენტების წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ინდიკატორის (3.2.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

დაწესებულებაში შემუშავებულია და დირექტორის 2025 წლის 07 თებერვლის N 1859 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლის მეორე მუხლით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირების მექანიზმები. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება.

ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, კერძოდ, მიღებულ პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადის პირველივე სასწავლო დღეს იგი გეგმავს და უზრუნველყოფს მათთან გაცნობით შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობენ კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეხვედრას ხსნის კოლეჯის დირექტორი, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ, რის შემდეგაც შეხვედრაში მონაწილე სხვა თანამშრომლები აცნობენ სტუდენტებს ინფორმაციას დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ. აღნიშნული შეხვედრა სრულდება დაწესებულების შენობაში ექსკურსიის მოწყობით. ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

ინდიკატორის (3.2.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების, მუხლი 3-ით განსაზღვრულია მხარდაჭერის ღონისძიებები. კერძოდ, სსსც „ეკვატორი“ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გონივრულ ვადებში, რაც სრულად შეესაბამება განათლების შეუზღუდავი მიღების პრინციპს და ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას. სერვისების მიწოდება ხორციელდება დროულად და რეალისტურ ვადებში, ხოლო კომუნიკაცია გამარტივებულია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის – eFlow-ის მეშვეობით, რომელიც მოიცავს როგორც შემოსული და გასული კორესპონდენციების, ისე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნების, ცნობის გაცემისა და უკუკავშირის დოკუმენტურად აღრიცხვას.

დოკუმენტბრუნვის პროცესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 2 ივნისის №01 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“, რომელიც აწესებს დოკუმენტების შესრულების ვადებს კალენდარული დღის პრინციპით, როგორც შიდა, ისე გარე დოკუმენტებზე. აღნიშნულ რეგულაციას ემატება სტუდენტთა მხარდაჭერის დამატებითი გარანტიები, რაც გაწერილია 2025 წლის 7 თებერვლის №1859 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში – „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“. კერძოდ, მე-3 მუხლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს ადმინისტრაციული მხარდაჭერის კონკრეტულ ფორმებს, როგორებიცაა: დიპლომის გაცემა, შიდა და გარე მობილობის ხელშეწყობა, სააპელაციო საჩივრების განხილვა, ცნობების გაცემის პროცედურები და სხვა.

გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრულყოფილი წვდომა აღნიშნულ სერვისებზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შიდა კმაყოფილების კვლევის მიხედვით, გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 99% დადებითად აფასებს ადმინისტრაციის, განსაკუთრებით კი კანცელარიის სამსახურის საქმიანობას, მომსახურების ხარისხსა და სტუდენტზე ზრუნვის ხარისხს.

ინდიკატორის (3.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;**

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრ ეკვატორში“ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემური მიდგომა განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის №1859 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში – **„პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“**. დოკუმენტი სრულად მოიცავს აკადემიური, ადმინისტრაციული და კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებებს, ასევე პროფესიული სტუდენტების ინიციატივების წახალისებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელების მექანიზმებს. რეგულაცია ეფუძნება სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლებისა და სტუდენტური აქტივობების მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებს მიღმა. აღნიშნული მიდგომა მოიცავს კულტურულ, სპორტულ და შემოქმედებით ინიციატივებს, რომლებიც განაპირობებს სტუდენტების სამოქალაქო თვითშეგნების გაღრმავებას და მათი ჩართულობის ზრდას სასწავლო ცხოვრებაში.

სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა გათვალისწინებულია კოლეჯის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულების მდგრადობას. სსსც „ეკვატორის“ ყველა სტრუქტურული ერთეული საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურადაა ჩართული ექსტრაკურიკულ აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რაც ხელს უწყობს პროცესის ინტეგრირებულობასა და სისტემურობას.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერი აქტივობების გეგმასა და მათი განხორციელების პრაქტიკას. დადასტურდა, რომ 2025 წლის განმავლობაში უკვე განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება, მათ შორის:

- ფეხბურთის შიდა ტურნირი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: ალკოჰოლის, თამბაქოს, ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების უარყოფითი ზეგავლენა, წარდგენილი კოლეჯის ექიმის მიერ;
- შეხვედრა კურსდამთავრებულთან გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- კარიერული განვითარების საკითხებზე კონსულტაციები პროფესიულ სტუდენტებთან;
- მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი, რომელიც ჩატარდა სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე და მოიცავდა გამარჯვებულების დაჯილდოებას კოლეჯის ფინანსური მხარდაჭერით;
- ცურვის შეჯიბრი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა („გემბანის რიგითი მეზღვაური“, „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ და სხვა).

აღნიშნული აქტივობები წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის ეფექტურ პრაქტიკას, რაც მტკიცედ ასახავს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის განხორციელებას დაწესებულებაში.

ინდიკატორის (3.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება უზრუნველყოფილია. რეგულარულად განხორციელებული კვლევები მიზნად ისახავს სტუდენტთა საჭიროებებისა და კმაყოფილების სისტემურ შეფასებას და ემსახურება შესაბამისი სერვისების ეფექტურ დაგეგმვასა და განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ შემუშავებული კვლევითი ინსტრუმენტები და ანალიტიკური დოკუმენტები, მათ შორის: პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის კითხვარები, რომლებიც შემუშავებულია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად. მათ შორის: სწავლების პროცესზე ორიენტირებული კითხვარები; კურსდამთავრებულთა საჭიროებებისა და კმაყოფილების შეფასების კითხვარები და სხვა. შესაბამისი ანგარიშების ანალიზმა ცხადყო, რომ კოლეჯი მიზანმიმართულად იყენებს კვლევის შედეგებს სტუდენტური მომსახურების განვითარებისა და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესში

ინდიკატორის (3.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსსც ეკვატორის დირექტორის 2025 წლის 07 თებერვლის №1859 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- სსსც ეკვატორის დირექტორის 2024 წლის 20 ივნისის N01ბრძანებით დამტკიცებული „საქ მისწარმოების წესი“;
- „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი-ს“ დირექტორის 2025 წლის 22 იანვრის №807 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი სსსც ეკვატორის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის №010 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი სსსც ეკვატორის დირექტორის 2018 წლის 26 დეკემბრის №07 ბრძენიბით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროფორიენტაციისა და საორიენტაციო შეხვედრის ფარგლებში შემუშავებული პრეზენტაციები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;**

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის №1859 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი — „სსსც ეკვატორის პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“ — განსაზღვრავს მიზნობრივ და მრავალმხრივ ღონისძიებებს პროფესიული სტუდენტების კარიერული წინსვლის ხელშესაწყობად და მათი შრომით ბაზარზე ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულება სისტემურად ახორციელებს კარიერული განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებებს, მათ შორის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, ინფორმაციის გავრცელებას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ და მიზნობრივი კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზებას პროფესიული სტუდენტებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული ღონისძიებების არსებობა და შედეგიანობა დადასტურდა როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს. მათ გააზრებულად აღწერეს საკუთარი გამოცდილება კარიერული მხარდაჭერის კომპონენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც მოწმობს შესაბამისი მექანიზმების ეფექტიან დანერგვას პრაქტიკაში.

დაწესებულება რეგულარულად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ორგანიზაციების ბენეფიციარებთან და შრომის მაძიებელ პირებთან. აღნიშნული შეხვედრები ემსახურება კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებისა და პარტნიორი დამსაქმებლების მიერ შეთავაზებული დასაქმების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაციის გავრცელებას.

პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური და ჯგუფური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია კარიერული განვითარების და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ, რომელიც კონსულტირებას ახორციელებს როგორც დაწესებულების მიერ ჩატარებული საჭიროებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ისე პროფესიული სტუდენტის მიმართვის საფუძველზე.

კონსულტაციების შინაარსი მოიცავს კომპლექსურ ინფორმაციას დასაქმების გზაზე გასავლელი ეტაპების, შრომის ბაზრის მოთხოვნების, პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობებისა და პიროვნული წარმატების ხელშემწყობი კომპეტენციების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტებს დამატებითი, მოკლევადიანი კურსების გავლის შესაძლებლობას, რომლებიც მოიცავს შემდეგ თემატიკას:

- რეზიუმეს (CV) მომზადების პრინციპები;
- სამოტივაციო წერილის შედგენა;
- საკუთარი თავის ეფექტურად წარდგენა სამუშაო ინტერვიუებზე;
- კარიერული გზის დაგეგმვა და პროფესიული იმიჯის ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კარიერული მზაობის ამაღლებას, მათ დასაქმების უნარების გაძლიერებას და პროფესიულ სივრცეში წარმატებით ინტეგრაციის შესაძლებლობას.

ინდიკატორის (3.2.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას, რომელსაც ახორციელებს კარიერული მხარდაჭერისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

1. **ინფორმაციის მიწოდება ვაკანსიებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე**
   - პერიოდულად აზიარებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობებზე კოლეჯის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებში და საკომუნიკაციო პლატფორმებზე.
2. **პირადი საკონსულტაციო დახმარება**
   - სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უწევს მხარდაჭერას რეზიუმეებისა („CV“) და სამოტივაციო წერილების მომზადებაში, საინტერვიუო სტრატეგიების ჩამოყალიბებაში და სხვა საკომუნიკაციო უნარების განვითარებისათვის.
3. **დამატებითი პროფესიული განათლების შეთავაზება**
   - სთავაზობს გადამზადებისა და კურსების არჩევანს, რათა დააკმაყოფილოს ინდივიდუალური საჭიროებები და გაზარდოს დასაქმების პერსპექტივები.

კოლეჯი ინახავს **დამსაქმებელთა** და **კურსდამთავრებულთა** ინფორმაციას სპეციალურ ბაზებში, რომლებიც ახლდება ყოველ სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.

- ბაზების განახლებასა და მართვას ახდენს კარიერული მხარდაჭერისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.
- კოლეჯი მუდმივად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, რაც უზრუნველყოფს საექსპერტო უკუკავშირს.

კოლეჯი ატარებს დამსაქმებელთა შეფასებითი გამოკითხვებს. გამოკითხვები ტარდება პროგრამის დასრულებიდან 3 თვის ფარგლებში და ითვალისწინებს:

- პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების თავსებადობას დასაქმების სფეროს მოთხოვნებთან;
- პროგრამის ხანგრძლივობისა და ფორმატის შესაბამისობას დასახული მეცადინეობის მიზნებთან;
- დამატებითი პრაქტიკული გამოცდილების საჭიროებას.

კარიერული მხარდაჭერის სისტემატური რეჟიმი და დამსაქმებელთა აქტიური ჩართვა უზრუნველყოფს პასუხისმგებლიან უკუკავშირს და ადეკვატურ კორექტირებებს პროგრამების განხორციელების პროცესში, რაც ზრდის დასაქმების ეფექტიანობას და კოლეჯის ბრენდის რესურსებს რეალურ ბაზარზე.

ყოველივე ზემოთქმული დაგვიდასტურეს კურსდამთავრებულებმა მათთან გასაუბრების დროს.

ინდიკატორის (3.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

„სსსც ეკვატორი“-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში, რეგულარულად ტარდება პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების და დასაქმების სტატუსის კვლევა, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობის შეფასებისა და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესის მართვისათვის.

2024 წელს განხორციელებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა კოლეჯის კურსდამთავრებულთა მოლოდინებისა და კმაყოფილების დონის განსაზღვრა, აგრეთვე პროფესიული პროგრამის შედეგიანობის ანალიზი დამსაქმებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის ჭრილში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 72-მა კურსდამთავრებულმა.

მიღებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ კურსდამთავრებულთა 52%-ზე მეტი დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამის სფეროში, რაც მიუთითებს პროფესიული პროგრამის პრაქტიკულ ეფექტიანობაზე და დასაქმებისკენ ორიენტირებულობაზე. გარდა ამისა, გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა და უნარები პასუხობს რეალურ შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, რაც პირდაპირ აისახება დამსაქმებელთა კმაყოფილებაზეც.

თუმცა, კვლევამ ასევე გამოავლინა კერძო ასპექტები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას, მათ შორის სწავლების გარკვეული კომპონენტების მეტად პრაქტიკულ კონტექსტში წარმოდგენა და დამატებითი გადამზადების შესაძლებლობების გაძლიერება.

დაწესებულებამ უზრუნველყო კვლევის შედეგების ანალიზი და შემუშავდა კონკრეტული ქმედითი გეგმები, რომლებიც ინტეგრირებულია 2025 წლის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული ნაბიჯები უზრუნველყოფს კრიტიკულად მნიშვნელოვანი უკუკავშირის გამოყენებას სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, სსსც ეკვატორის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პრაქტიკაში რეალურად ფუნქციონირებს და არ არის მხოლოდ ფორმალურად არსებული სისტემა. ის ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მენეჯმენტს, რაც თავის მხრივ ზრდის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს კოლეჯის სისტემურ და მიზნობრივ განვითარებას.

ინდიკატორის (3.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

როგორც უკვე აღინიშნა, კარიერული მომსახურების კვლევა დაწესებულებაში ტარდება წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს რეგულარულ მონაცემთა დაგროვებას, ანალიზს და მიღებული შედეგების ინტეგრაციას სტრატეგიულ და ოპერაციულ დონეზე. კვალიფიციური ანალიზის საფუძველზე, კოლეჯი განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აწარმოებს ანგარიშგებას მათი განხორციელების შესახებ. ეს პრაქტიკა ნათლად ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ ინსტრუმენტს, არამედ გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში — როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესების, ისე სტუდენტთა მხარდაჭერისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ინდიკატორის (3.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სსსც ეკვატორის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის N1859 ბრძანებით დამტკიცებული „სსსც ეკვატორის პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“;
- კურსდამთავრებულებისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის გაწეული კონსულტაციები;
- კარიერული მხარდაჭერისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის აქტივობები - კარიერული განვითარების მიმართულებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

კოლეჯის შპს **„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“** დებულების მიხედვით (დამტკიცებულია2018 წლის 20 დეკემბერს, N04/ა, ბოლო ცვლილება 2023 წლის 11 აგვისტოს N 00008130 ბრძანებით), კოლეჯის მართვის ორგანოებია: პარტნიორთა კრება და დირექტორი. დოკუმენტით განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები ხოლო, დირექტორის 2022 წლის 4 ნოემბრის N 00010413 (ბოლო ცვლილება 2025 წლის 24 ივნისი N 9756 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში“ გაწერილია კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც ჩანს პოზიციებს შორის კოორდინაციის საკითხი, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება/პასუხისმგებლობა. კოლეჯის პერსონალის შემადგენლობა დაკომპლექტებულია „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დებულების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორის 4.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

კოლეჯის შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დებულების მიხედვით განაწილებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს ყველა იმ თემას, რომელიც კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებასა და მიზნებს უკავშირდება. აღნიშნული დასტურდება როგორც თანამშრომლებთან გასაუბრებით, ასევე კოლეჯის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებში მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით. **ინდიკატორის 4.1.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ორი საშტატო ერთეული: ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი, მათი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია დირექტორის მიერ დამტკიცებულ „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში“, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს დაწესებულებაში მიმდინარე სხვა პროცესების მართვაში ჩართულ ადმინისტრაციულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთეულებთან და დასტურდება დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ხარისხის სამოქმედო გეგმებით.

ინდიკატორის 4.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების სტრუქტურა;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დებულება;
- „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- გასაუბრების შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში პერსონალის მართვა ხორციელდება დირექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის N 10/ა (ბოლო ცვლილება 2022 წლის 12 აპრილის N00002761) ბრძანებით დამტკიცებული შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ **შინაგანაწესის** საფუძველზე. კოლეჯის შინაგანაწესის მიზანია: შრომის დისციპლინის და საგანმანათლებლო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა; კოლეჯსა და მასში დასაქმებულ პირებს შორის შრომითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება; დასაქმებულის უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეწყობა; შრომის სამართლიან ანაზღაურება; დასაქმებულის სიცოცხლის და ჯანმრთელობის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა და დაცვა; ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. შინაგანაწესი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო; დასაქმებულის ვალდებულებები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, მივლინებაში ან შვებულებაში გასვლის დრო; კოლეჯში დასაქმებულის წესრიგის, ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის სფერო; დასაქმებულის და დამსაქმებლის უფლება - მოვალეობები; დასაქმებულის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის ზოგადი ინსტრუქციები; დასაქმებულის შრომის ანაზღაურება; სამსახურებრივ საკითხებზე ბრძანებათა თანამშრომლებამდე დაყვანის წესი. შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ხოლო ცვლილებების შემთხვევაში შინაგანაწესი თანამშრომლებს ეგზავნებათ ელექტრონულ ფოსტაზე.

ინდიკატორის 4.1.2.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

დირექტორის 2020 წლის 23 სექტემბრის N 19 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2022 წლის 7 ივნისის N 00004366 ბრძანებით) დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკით“ განსაზღვრულია პერსონალის საჭიროების განსაზღვრა; პერსონალის მოზიდვა; ახალი თანამშრომლის ადაპტაცია; პერსონალის შეფასება; განვითარება; ტრენინგები და სხვ. დაწესებულების „თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესის“ (დირექტორის 2020 წლის 24 სექტემბრის N 20 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2022 წლის 8 აპრილი N 00002655 ბრძანებით) თანახმად თანამშრომლის მიღება ხდება როგორც კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ან შრომითი ხელშეკრულებით ასევე კონკურსის წესით. დოკუმენტის განსაზღვრულია კონკურსის ორგანიზების საკითხები, საკონკურსო კომისიის შექმნა, კომისიის საქმიანობის განსაზღვრა, გასაჩივრების პროცედურები, სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, ხელშეკრულების გაფორმებს და ა.შ. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაეცნენ სხვადასხვა თანამშრომლის დოკუმენტაციას - განცხადების დაწერიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე. კონკურსის წესით თანამშრომელთა აყვანის პრაქტიკა დაწესებულებას არ აქვს.

ინდიკატორის 4.1.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

დაწესებულების დირექტორის მიერ „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში“ განსაზღვრულია თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, სადაც მითითებულია თითოეული პოზიციისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნა. დაწსებულებაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დადენილ მოთხოვნებს, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით.

ინდიკატორის 4.1.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტებით დგინდება, რომ დაწესებულებაშიდირექტორის ბრძანების საფუძველზე მოქმედებს სხვადასხვა მიზნობრივი სამუშაო ჯგუფები, მათ შორის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემმუშავებელი ჯგუფი, ვერიფიკაციის ჯგუფი. სამოქმედო გეგმით დგინდება, რომ ზოგიერთი ამოცანის შესრულებაში რამდენიმე პირია ჩართული, რაც გუნდური მუშაობის პრინციპის დაცვას მოითხოვს. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის წესი კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკაა.

ინდიკატორის 4.1.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ შინაგანაწესი;
- „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
- „თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი“;
- „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- პირადი საქმეები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

დაწესებულების „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მე-6 მუხლის „პერსონალის შეფასება, განვითარება, ტრენინგები“ მიხედვით, რომლის მიზანია „უზრუნველყოს კოლჯის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის განვითარების საჭიროება, წახალისება და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობები“. ამისათვის კოლეჯის ყველა თანამშრომლის შეფასება (გარდა დაცვის თანამშრომლის და დამლაგბელის) ხდება წლის ბოლოს წელიწადში ერთხელ. პერსონალის საჭიროებების განსაზღვრის შედეგად იგეგმება მიზნობრივი აქტივობები. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 31 იანვრის N1460 ბრძანებით დამტკიცებულ „ხარისხის სიტემის ანალიზის“ მიხედვით გამოკითხული 17 თანამშრომლიდან მხოლოდ ერთი თანამშრომელი არ იყო ინფორმირებული პერსონალის წახალისების მექანიზმებზე. ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 4.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;**

დაწესებულების „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მიხედვით პერსონალის განვითარება კოლეჯის პერსონალის მართვის არსებითი ნაწილია. პროფესიული განვითარების მიზანია კოლეჯში დასაქმებულთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტიანად შესრულებას. პერსონალის კარიერული განვითარებისთვის შეფასების შედეგების შემდეგ დგება ტრენინგების თემა, შემდეგ კი იგეგმება პერსონალის ჩართულობა პროფესიული განვითარების აქტივობებში.

ინდიკატორის 4.2.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

დაწესებულებამ წარმოადგინა ადამიანური პერსონალის და ინსტრუქტორ-მასწავლებლების 2025 წლის ტრენინგის გეგმები. დაწესებულების წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების საჭიროებათა გამოვლენასა და მიზანმიმართულ განვითარებაზე, რის დასტურადაც წარმოადგინეს სხვადასხვა მტკიცებულებები, ტრენინგში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია და ტრენინგზე მონაწილე თანამშრომლის მიერ მიღებული სერთიფიკატებით. ასევე გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ განმავითარებელ ადგილობრივ კონფერენციებსა და ტრენინგებში. კოლეჯი საკუთარი რესურსითაც უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარებას

ინდიკატორის 4.2.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია და ადაპტირება გაწერილია „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მე-5 მუხლში, კერძოდ: „ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯრი, რომელიც ახალდანიშნულ თანამშრომელს გააცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, შინაგანაწესს, კოლეჯის მოქმედ პროცედურებსა და წესებს, სამუშაოს აღწერილობას. ექსპერტები გაესაუბრნენ უკანასკნელ პერიოდში დასაქმებულ ორ პირს, რომელმაც დეტალურად აღწერა მისი სამუშაოზე აყვანისა და სამუშაო სივრცეში დაუბრკოლებლი ინტეგრაციის პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 4.2.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის პილიტიკის“ მე-8 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია პერსონალის ინიციატივებისა და და პროექტების წარდგენის და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებიის პროცედურა, პერსონალის ინიციატივები/პროექტების შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს, პერსონალის მიერ მოთხოვნილი რესურსების გათვალისწინებით კომისის მიერ მიიღება დასაბუთებული გადაწყვეტილება და წარედგინენა დირექტორს საბოლოო გადაწყვეტილების მიზნით. დაწესებულებაში თანამშრომელთა წახალისებების პრაქტიკა დასტურდება როგორც გასაუბრებით ასევე დირექტორის ბრძანებებით. მაგალითად 2025 წელს იანვარში გამოცემული დირექტორის ბრძანება „სამსახურეობრივი მოვალეობის ჯეროვნად, სანიმუშოდ და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის“ 20 თანამშრომელს გადაეცა 100 ლარის ოდენობის პრემია, ხოლო მარტში გამოცემული ბრძანებით „ქალთა დღესთან დაკავშირებით“ 10 თანამშრომელს გადაეცა ფულადი საჩუქარი.

ინდიკატორის 4.2.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- ტრენინგის გეგმები;
- ტრენინგებში მონაწილეობის მტკიცებულებები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

ფაქტობრივი მდგომარეობის, შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი"-ს მატერიალურ ქონებაზე ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის, აზომვითი ნახაზებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერების (საკადასტრო კოდები: N05.29.24.095 და N05.29.24.101) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი საქმიანობას ახორციელებს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ორსართულიან შენობაში, რომელიც განთავსებულია შემდეგ მისამართებზე:

- ბათუმი, შავშეთის ქ. №33 — შენობის ფართობი შეადგენს 894.4 კვ.მ-ს და მოიცავს წილობრივ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს;
- ბათუმი, შავშეთის ქ. №35 — შენობის ფართობია 600.4 კვ.მ, საიდანაც 570.4 კვ.მ იჯარით გადაცემულია კოლეჯზე.

ორივე ობიექტზე ფლობის საფუძველია იჯარის ხელშეკრულება N7/02, რომელიც გაფორმებულია 2025 წლის 31 იანვრიდან 2031 წლის იანვრის ჩათვლით. იჯარით აღებული ფართობების ჯამური მოცულობა შეადგენს 1,170.80 კვ.მ-ს.

სასწავლო მიზნებისთვის, კოლეჯს იჯარის ხელშეკრულება N7/03-ის საფუძველზე გადაცემული აქვს დამატებითი შენობა შემდეგ მისამართზე: ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი №2 (საკადასტრო კოდი: N05.31.05.379). აღნიშნული ერთსართულიანი შენობა მოიცავს 262.36 კვ.მ ფართობს და მოიცავს სასწავლო-საწვრთნელ აუზს.

კოლეჯის მიერ იჯარის ფლობით უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა მოცულობითა და ფუნქციურად სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მოთხოვნებს. ფართების რაოდენობრივი მაჩვენებლები საშუალებას იძლევა განთავსდეს როგორც ადმინისტრაციული, ასევე სპეციალიზებული სასწავლო სივრცეები. გარდა ამისა, ფლობის ფორმა — იჯარა — მართულია შესაბამისი ხელშეკრულებებით და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, რაც გამჭვირვალე და სამართლებრივად მდგრად მოდელს ქმნის.

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი"-ს შენობებში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საერთო სარგებლობის სივრცეები:

- ნათელი და კეთილმოწყობილი ფოიე პირველ და მეორე სართულებზე;
- ბიბლიოთეკა;
- სამედიცინო კაბინეტი;
- არქივის განთავსების სივრცე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები ქალებისა და მამაკაცებისთვის — 2-2 კაბინა თითოეულისთვის და 2-2 ადაპტირებული კაბინა შშმ პირებისთვის;
- 5 ადმინისტრაციული ოფისი;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ოთახი.

საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა და ადეკვატურობა უზრუნველყოფს კოლეჯში ყოველდღიური სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გამართულ ფუნქციონირებას. შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინკლუზიური გარემოს ფორმირებას. საერთო სივრცეების რაოდენობა და განლაგება საშუალებას იძლევა კოორდინირებულად და ორგანიზებულად განაწილდეს ადამიანური რესურსი და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტური და სამუშაო კომფორტი.

კოლეჯს გააჩნია შემდეგი სასწავლო გარემო:

- 9-A ტიპის სასწავლო სივრცე — 177 ადგილი;
- 3 AC ტიპის გარემო — 44 ადგილი;
- 2-B ტიპის აუდიტორია — შესაბამისად, 20 და 10 ადგილიანი.

ყველა სასწავლო გარემო სრულად აღჭურვილია:

- პროფესიული სტუდენტების მაგიდებითა და სკამებით;
- დაფებითა და პროექტორებით;
- პროფესიული მასწავლებლების სამუშაო ინვენტარით.

AC ტიპის სივრცეები დამატებით აღჭურვილია:

- ტექნიკური მოწყობილობებით;
- თვალსაჩინოებებითა და სიმულაციური დანადგარებით;
- თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის საჭირო რესურსებით;
- ინტერნეტმონიტორებით.

სასწავლო გარემოების რაოდენობრივი და ფუნქციური მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სხვადასხვა პროფესიული მიმართულებისათვის შესაბამისი სივრცეების არსებობას. AC და B ტიპის სივრცეების არსებობა ხაზგასმით აჩვენებს სპეციალიზებული სწავლების საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სივრცეების აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით ამაღლებს სწავლების ხარისხს და უწყობს ხელს აქტიური სწავლის მეთოდოლოგიების დანერგვას.

კოლეჯს გააჩნია შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:

- 62 კომპიუტერი
- 12 პროექტორი
- 12 ეკრანი
- 11 პრინტერი

2024 წლის დეკემბერში ჩატარდა აუდიტორიებისა და სივრცეების ინვენტარიზაცია, რომელიც განხორციელდა დირექტორის ბრძანების საფუძველზე (ბრძანება №07), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინვენტარიზაციის კომისიაში შედიოდნენ:

- ფინანსური მენეჯერი;
- ბუღალტერი;
- შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების მენეჯერი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიან, მდგრად განხორციელებას და სრულ შესაბამისობაშია სტანდარტების მოთხოვნებთან

ინდიკატორის 5.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

„სსსც ეკვატორის“ დირექტორის 2025 წლის 11 თებერვლის №2067 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის წესი“ წარმოადგენს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს:

- კოლეჯის ინფრასტრუქტურის, ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, ინვენტარისა და ტექნიკური აღჭურვილობის მართვის წესს;
- ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების წესებს;
- სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისა და განკარგვის წესებს;
- ინვენტარიზაციის პროცესის რეგულირებასა და პერიოდულობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დოკუმენტში ასევე მკაფიოდ არის გაწერილი რესურსით სარგებლობის წესები, რაც გულისხმობს, რომ კოლეჯის ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსი – მათ შორის:

- კაბინეტ-ლაბორატორიები;
- კომპიუტერული ტექნიკა და სპეციალური პროგრამები;
- ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები;
- სახელმძღვანელოები და მეთოდური მასალები;
- სათანადო აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სასწავლო სივრცეები;

განკუთვნილია პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისათვის, თანასწორ და შეუზღუდავ პირობებში.

„სსსც ეკვატორი“-ში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა რესურსებზე წვდომის ხარისხი, სარგებლობის გამჭვირვალობა და ინფრასტრუქტურული პირობების რელევანტურობა საგანმანათლებლო პროცესისადმი. შეფასება ადასტურებს, რომ კოლეჯში მოქმედი მექანიზმი უზრუნველყოფს რესურსების სამართლიან განაწილებასა და მიზნობრივ გამოყენებას.

ინდიკატორის 5.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

„სსსც ეკვატორს“ შემუშავებული აქვს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში წარმართვას. აღნიშნული მექანიზმი მოიცავს:

- კოლეჯის მფლობელობაში არსებული ყველა სივრცის, მათ შორის სასწავლო, ადმინისტრაციული და ტექნიკური სივრცეების დასუფთავების წესსა და პერიოდულობას;
- პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას და შრომითი ურთიერთობის რეგულირების საფუძველს, შესაბამისი ხელშეკრულებით.

სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პრაქტიკა რეგულირდება „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესით“, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს სივრცეების რეგულარული მოვლის, სისუფთავისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მიმართულებით პასუხისმგებელია შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს:

- დასუფთავების სამუშაოების ორგანიზებასა და კონტროლს;
- სისუფთავის უზრუნველსაყოფად საჭირო ინვენტარისა და ჰიგიენური საშუალებების დროულად შეძენასა და მიწოდებას;
- დასუფთავების პროცესში ჩართული პერსონალის კონტრაქტისა და დოკუმენტაციის წარმოებას.

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულების ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ინდიკატორის 5.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

„სსსც ეკვატორი“-ს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეებში ტემპერატურულ კომფორტს სწავლისა და სამუშაო პროცესის უწყვეტად წარმართვისათვის.

2024 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევის მიხედვით, გამოკითხული პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის 95%-ზე მეტმა დადებითად შეაფასა გათბობის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება. აღნიშნული შედეგი ადასტურებს სისტემის ტექნიკურ სანდოობას და შენობაში თერმული პირობების ადეკვატურობას.

გათბობის სისტემის გამართულად ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია დასტურდება შესაბამისი ბუღალტრული და ტექნიკური ხარჯების დოკუმენტებით, რაც მტკიცებულებას წარმოადგენს ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის ხარისხზე.

ინდიკატორის 5.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

„სსსც ეკვატორი“-ს შენობა აღჭურვილია შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მოთხოვნებთან შესაბამისი სისტემებით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და დაცულ გარემოს როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შენობაში, თვალსაჩინო ადგილებში გამოკრულია შეთანხმებული საევაკუაციო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ.
- შენობას თითოეულ სართულზე გააჩნია საევაკუაციო კიბეები და გასასვლელები სათანადო რაოდენობით.
- შენობა აღჭურვილია თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, რაც მოიცავს:
    - სახანძრო სიგნალიზაციას;
    - ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემას;
    - მანათობელ „EXIT“ ნიშნებს და ავარიულ განათებებს;
    - ცეცხლმაქრებით აღჭურვილობას (პირველადი ქრობის საშუალებები).

სტუდენტებისა და პერსონალისთვის რეგულარულად ტარდება სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები და პრაქტიკული სწავლებები, რაც დადასტურებულია შემდეგით:

- სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჟურნალები;
- სწავლების ანგარიშები;
- ფოტო/ვიდეო მტკიცებულებები.

დაწესებულებამ წაემოადგინა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შეახებ “საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე და შეესაბამება, როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს. დაწესებულებას ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტებული პროგრამა და ფლობს მოქმედ სერტიფიკატს. სპეციალისტის ფუნქციები მოიცავს:

- შრომითი გარემოს და პირობების რისკების შეფასებას და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას;
- ინსტრუქციების შემუშავებასა და მონიტორინგს ყველა შესაბამის კომპონენტზე;
- ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ორგანიზებას პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის;
- ტექნიკური ინსპექტირების განხორციელებას არსებული აღჭურვილობების უსაფრთხოების მიზნით;
- შესაბამისი ჟურნალებისა და ფორმების წარმოებას;
- საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და მთავრობის დადგენილებების შესაბამისად მოთხოვნების დაცვას.

დაწესებულებაში რეგულარულად იწარმოება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინსტრუქტაჟების ჩატარების ჟურნალები;
- შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების ფორმები;
- გაუმჯობესების გეგმები;
- ვიზუალური და წერილობითი მტკიცებულებები.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისთთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მას, მისი კომპეტენციის ფარგლებში, კოლეჯის პერსონალისთვის ჩატარებული აქვს პირველადი ინსტრუქტაჟი (სამსახურში მიღებისას), გაცნობილი აქვს მათთვის კოლეჯის საქმიანობა, ადმინისტრაციის მართვის სისტემა, შინაგანაწესი, სხვა ნორმები და წესები, ასევე კოლეჯის სივრცეებში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენების ინსტრუქციები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მათი კონკრეტული სამუშაო ადგილი და გამოსაყენებელი ინვენტარის ექსპლუატაციის პირობები. მას ჩატარებული აქვს ასევე ტრენინგები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა: საქართველოს შრომის კოდექსი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, უსაფრთხო შრომის პრინციპები, შრომის ჰიგიენა, კონფლიქტების მართვა და სხვა, რასაც ადასტურებს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალა. „სსსც ეკვატორი“-ში 2024 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის 100%-მა დადებითად შეაფასა შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, რაც მიუთითებს უსაფრთხოების სისტემის მაღალ ფუნქციონალურ ეფექტიანობასა და პრაქტიკულ რეალიზაციაზე.

ინდიკატორის 5.1.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

„სსსც ეკვატორი“-ს დირექტორის 2025 წლის 11 თებერვლის №2067 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის წესი“, რომელიც არეგულირებს:

- სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების წესებს;
- სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტების შენახვისა და განკარგვის წესებს;
- საგანმანათლებლო საქმიანობით წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესებს.

აღნიშნული წესი უზრუნველყოფს კოლეჯის რესურსების მართვის გამჭვირვალობას, პროცესების სტრუქტურირებას და სამართლებრივ შესაბამისობას.

შესყიდვების პროცესში ჩართულია რამდენიმე პასუხისმგებელი რგოლი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის მენეჯერი — პასუხისმგებელია შესყიდვებისა და რესურსების გადაცემაზე;
- ფინანსური მენეჯერი — ახორციელებს ბიუჯეტირებასა და ფინანსურ კონტროლს;
- დირექტორი — იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას რესურსების შეძენაზე;
- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის ხელმძღვანელები — ადგენენ საჭირო რესურსების ნუსხას მოდულების შესაბამისობაში.

პროფესიული პროგრამებისთვის საჭირო რესურსების ჩამონათვალი განისაზღვრება სწავლების დაწყებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, შეძენილი რესურსები გადაეცემა განმახორციელებელ პირებს მიღება-ჩაბარების აქტით, ხელმოწერების დაფიქსირებით. პროგრამის დასრულებისას ხდება ხარჯთაღრიცხვის წარდგენა, ხოლო გაუხარჯავი რესურსების — დაბრუნება და აღრიცხვა. „სსსც ეკვატორი“-ში ჩატარებული 2024 წლის გამოკითხვის საფუძველზე, გამოკითხული პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის 97%-მა დადებითად შეაფასა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საჭირო რესურსების ხარისხი, რაოდენობა და ხელმისაწვდომობა, რაც მიუთითებს რესურსების მართვის მექანიზმის ეფექტიანობასა და პრაქტიკაში მისი ხარისხიანი განხორციელების დონეზე.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვა კოლეჯში ეფუძნება დადგენილ სამართლებრივ ჩარჩოს, პროცესების მკაფიო განაწილებას, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და რაციონალურ გამოყენებას. შიდა რეგულაციების მკაცრი დაცვა და პროცესში მრავალი რგოლის ჩართულობა ამცირებს ფინანსური და ოპერაციული რისკების დონეს. რესურსებზე სტუდენტებისა და მასწავლებლების მაღალი კმაყოფილება კი ადასტურებს, რომ დოკუმენტურად გაწერილი პროცედურები რეალურად მუშაობს და პასუხობს საგანმანათლებლო საჭიროებებს.

ინდიკატორის 5.1.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;**

„სსსც ეკვატორი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მოიცავს სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების კომპონენტს, რომელიც რეგულარულად ხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით. შეფასება ეფუძნება მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ გამოკითხვის საფუძველზე შეგროვებულ მონაცემებს.

კვლევის კითხვარი მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა:

- რესურსების არსებობა და რაოდენობრივი საკმარისობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მათი შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან;
- ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის;
- ლოგისტიკური უზრუნველყოფის ეფექტიანობა (მათ შორის რესურსების დროული მიწოდება და განახლება).

შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, კოლეჯი:

- ადგენს რესურსების გაუმჯობესების საჭიროებებს;
- ადგენს სამოქმედო გეგმას ინფრასტრუქტურული ან ტექნიკური რესურსების განახლების, შეკეთებისა და გამრავალფეროვნების მიმართულებით;
- ახორციელებს კონკრეტულ ნაბიჯებს რესურსების ხარისხის ზრდისათვის.

მოცემული მიდგომა განაპირობებს, რომ რესურსების მენეჯმენტი არ არის ერთჯერადი პროცესი, არამედ წარმოადგენს ციკლურ და მონაცემებზე დაფუძნებულ პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს სწავლის გარემოს უწყვეტ გაუმჯობესებას და ზრდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხს.

ინდიკატორის 5.1.1.7. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;**

„სსსც ეკვატორი“-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია ფუნქციურად გამიჯნული სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები ქალებისა და მამაკაცებისთვის — 2-2 კაბინა თითოეულისთვის და 2-2 ადაპტირებული კაბინა შშმ პირებისთვის, რომლებიც სრულად შეესაბამება უსაფრთხოებისა და ჰიგიენის თანამედროვე სტანდარტებს. თითოეული სველი წერტილი:

- უზრუნველყოფილია უწყვეტი **წყლის, განათებისა და ვენტილაციის სისტემით**;
- აღჭურვილია **ჰიგიენური საშუალებებით**, მათ შორის: ქაღალდის ხელსახოცების დისპანსერით და ნარჩენების კალათით;
- უზრუნველყოფს **პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას**, ყველა პროფესიული სტუდენტისა და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

ინდიკატორის 5.1.1.8. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო და ადმინისტრაციული ფართები, მათ შორის ბიბლიოთეკა, უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების წყაროებით, რაც ხელს უწყობს სწავლისა და სამუშაო პროცესის კომფორტულ და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში მიმდინარეობას.

ინდიკატორის 5.1.1.9. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

„სსსც ეკვატორი"-ს თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილ შენობაში ფუნქციურად გამიჯნულია სხვადასხვა ტიპის სივრცეები, მათ შორის: ფოიე, სასწავლო აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. თითოეული აღნიშნული სივრცე მოქმედებს დამოუკიდებლად და სპეციფიკური დანიშნულებით.

ადმინისტრაციული სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები ისეა განლაგებული, რომ უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებელი და პარალელური ფუნქციონირება. ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო სივრცეში ინტეგრირებულია მათთვის განკუთვნილი ინდივიდუალური სათავსოები, რაც ხელს უწყობს სამუშაო გარემოს ორგანიზებასა და რესურსების მოწესრიგებულ განთავსებას.

ინდიკატორის 5.1.1.10. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

„სსსც ეკვატორი"-ში საბიბლიოთეკო საქმიანობა რეგულირდება ბიბლიოთეკის დებულებით და ბიბლიოთეკის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რომლებიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის წესს და შესაბამისი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების მომსახურების მიმართულებით.

საბიბლიოთეკო სერვისს უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის გამგე და ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე. სასწავლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესებთან შესაბამისობაში.

საბიბლიოთეკო მომსახურება მოიცავს როგორც საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომას, ისე დამატებით სერვისებს, როგორიცაა:

- ასლის გადაღება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპიუტერებით სარგებლობა ინტერნეტქსელზე წვდომით;
- ელექტრონული რესურსების გამოყენება.

საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც მატერიალური (ბეჭდური), ისე ელექტრონული ფორმით. პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა ბიბლიოთეკის ელექტრონულ (OpenBiblio) კატალოგებსა და რესურსებზე, რაც ხელს უწყობს სწავლების ციფრულ მხარდაჭერას.

ბიბლიოთეკაში წარმოებს:

- ელექტრონული და მატერიალური კატალოგების ადმინისტრირება;
- მკითხველთა აღრიცხვის ბარათების წარმოება;
- საინვენტარო ჟურნალების წარმოება და განახლება.

სსსც „ეკვატორი“-ს საბიბლიოთეკო მომსახურება ფუნქციურად გამართულია და სრულად პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის მოთხოვნებს. ბიბლიოთეკის საქმიანობა დაფუძნებულია დებულებასა და ინსტრუქციებზე, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის გამჭვირვალობას და რეგულარულობას. რესურსების მრავალფორმატიანობა (ბეჭდური და ელექტრონული) და ინტერნეტზე წვდომის შესაძლებლობა ქმნის მოქნილ გარემოს როგორც ინდივიდუალური სწავლისთვის, ისე სასწავლო პროცესის ციფრული მხარდაჭერისთვის.

ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაზე რეგულარული უკუკავშირის მექანიზმის არსებობა წარმოადგენს მნიშვნელოვანი ხარისხის უზრუნველყოფის კომპონენტს. ბოლო (2024) კვლევის შედეგად, პროფესიულ სტუდენტთა 97%-მა დადებითად შეაფასა საბიბლიოთეკო სერვისით სარგებლობის გამოცდილება, რაც მიუთითებს მომხმარებელთა მაღალი კმაყოფილების დონეზე და ბიბლიოთეკის ეფექტიან მენეჯმენტზე

ინდიკატორის 5.1.1.11. მოთხოვნები დაკმაყოფილებელია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- აზომვითი ნახაზები;
- იჯარის ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსსც ეკვატორის დირექტორის 2025 წლის 11 თებერვლის N2067 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა წესი“;
- სსსც ეკვატორის“ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“;
- ცენტრალური გათბობის სისტემის ფლობის დოკუმენტები;
- გათბობის ხარჯები;
- სსსც ეკვატორი დირექტორის 2020 წლის 20 ივნისის 07 ბრძანებით დამტკიცებული „სსსც ეკვატორის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის დოკუმენტი;
- შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შევსებული ჟურნალები;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ელექტროენერგიის ხარჯვის გადახდის დამადასტურებული დოკუმენტები;
- სსსც ეკვატორის შიდა აზომვითი ნახაზი;
- სსსც ეკვატორის ფართების აღწერის შევსებული ფორმები.
- სსსც ეკვატორის დირექტორის 2018 წლის 12 დეკემბრის №04 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება;
- სსსც ეკვატორის დირექტორის 2018 წლის 26 დეკემბრის №07 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და ყველა კატეგორიის პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები, ანალიზი;
- „ სსსც სსსც ეკვატორის მოძრავი ქონების ფლობის დოკუმენტები;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულებამ წარმოადგინა მის მიერ იჯარით აღებულ სამივე ობიექტზე არსებულ ფართზე, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული, სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტები და შესაბამისი დადებითი დასკვნები. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დასტურდება, რომ შენობის კონსტრუქციული მდგრადობა უზრუნველყოფილია და შესაძლებელია მისი უსაფრთხო ექსპლუატაცია.

კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, კოლეჯის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, დამონტაჟებულია ავარიული განათება, Exit მანათობლები, კვმლის დეტექტორი, გარე და შიგა პერიმეტრზე ხორციელდება მონიტორინგი ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით.

ინდიკატორის 5.1.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილრბულია.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“-ს დირექტორის 28.12.2018 № 010 ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“, რომელიც არეგულირებს:

1. გადაუდებელი სამედიცინო ღონისძიებების ორგანიზებას სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის შემთხვევებში;
2. გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს და მობილიზაციის პროტოკოლს;
3. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების სამედიცინო მომსახურების წესს;
4. სამედიცინო კაბინეტის მოწყობა–აღჭურვის სტანდარტებს;
5. სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო ინვენტარის შესყიდვა–შენახვა–გამოყენების პროცედურებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. რეაგირების ვალდებულებებსა და რეგისტრაციის მეთოდიკას („გაწეული სამედიცინო მომსახურების ჟურნალი“ და „მედიკამენტებისა და სამედიცინო ხელსაწყოების აღრიცხვის ჟურნალი“).

კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, აღჭურვილი აუცილებელი ინვენტარითა და შესაბამისი მედიკამენტებით. სამედიცინო დახმარებას უწევს კვალიფიციური ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

ინდიკატორის 5.1.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილრბულია.

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“-ში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცდა 2024 წლის 5 დეკემბერს (დირექტორის № 20671 ბრძანებით) და შეთანხმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (წერილი № MIA 22403729767, დ. 09.12.2024). გეგმის საფუძველზე შეიქმნა საგანგებო შტაბი, რომელსაც უძღვება კოლეჯის დირექტორი. შტაბში შედის ოთხი ძირითადი ჯგუფი — საევაკუაციო (უსაფრთხოების სპეციალისტი), სახანძრო (დაცვის თანამშრომელი), ტექნიკური (შესყიდვების და მატერიალური რესურსების მენეჯერი) და სამედიცინო–ქიმიურ–რადიაციული (ექიმი) მიმართულებები, ხოლო შეტყობინებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. თითოეულ ჯგუფს აქვს განსაზღვრული ფუნქცია — ევაკუაციის გზების გამოცდა, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების შემოწმება, კრიტიკული აღჭურვილობის ინვენტარიზაცია და პირველადი სამედიცინო დახმარების ორგანიზება. სპეციალური ინსტრუქტაჟები რეგულარულად ტარდება, ყველა პროცედურა დოკუმენტირდება შესაბამისი აქტებით და ჟურნალებით. 2024 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის 100 %-მა დაადასტურა ცენტრის საგანგებო მართვის სისტემის ეფექტიანობა და უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების დაცვა.

ინდიკატორის 5.1.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილრბულია.

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

შპს „საზღვაო სასწავლო–საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“–ის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი დაცულია დაცვის თანამშრომლების მიერ 24-საათიანი რეჟიმით. დაცვის პერსონალი ვალდებულია:

- აკონტროლოს უცხო პირის შესვლა–გამოსვლა;
- უზრუნველყოს დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა და პოტენციური რისკების პრევენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვის თანამშრომლების უფლებების და მოვალეობების განაწილება რეგულირდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით. დაწესებულების შიდა (ადმინისტრაციული, სასწავლო კაბინეტების, სანიტარულ კვანძებისა და დამხმარე სათავსოების გარდა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს:

- 24-საათიან ვიდეოჩანაწერს და მისი შენახვის ფუნქციას;
- კამერების დაფარვას ყველა კრიტიკული ზონაზე.

დაწესებულების სხვადასხვა შესასვლელთან და პირველადი თვალსაჩინოების ადგილებში განთავსებულია სამართლებრივად დადგენილი მანიშნებლები კამერების არსებობის შესახებ. დაწესებულების პირველ სართულზე არსებულ სატრენინგო ცენტრის საგამოცდო ოთახებში დამონტაჟებულია ვიდეო კამერები, რომლებიც მხოლოდ გამოცდის პერიოდში ირთვება.

აღნიშნული ღონისძიებები ქმნის უსაფრთხო გარემოს კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის და პასუხობს ავტორიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

ინდიკატორის 5.1.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილრბულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ; - (სახნძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი 14.12.2021 №220);
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა;
- სსსც ეკვატორის დირექტორის 2024 წლის 05 დეკემბრის №20671 ბრძანებით დამტკიცებული სსსც ეკვატორის საგანგებო მართვის გეგმა;
- სსსც ეკვატორის 2023 წლის 01 იანვრის -№471 ბრძანებით დამტკიცებული შპს ,,სსსც ეკვატორის“ საგანგებო შტაბი.
- სსსც ეკვატორის დირექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №010 ბრძანებით დამტკიცებული„სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“;
- „გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვის ჟურნალი“
- ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი;
- ჩაწერის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო კამერები;
- დაცვის თანამშრომლის სამუშაო აღწერილობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;**

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრი ეკვატორი“ ფუნქციონირებს თანამედროვე IT ინფრასტრუქტურაზე დაყრდნობით, რაც სრულად უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანად განხორციელებას.
დაწესებულება უზრუნველყოფილია სტაბილური და ხელმისაწვდომი ინტერნეტით, რომლის გამოყენება შესაძლებელია სასწავლო კომპიუტერულ აუდიტორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებსა და სხვა საერთო დანიშნულების სივრცეებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერნეტზე წვდომა ხორციელდება უსადენო ქსელის (Wi-Fi) მეშვეობით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და დადასტურებულია სარგებლობის ფაქტობრივი მაჩვენებლებით.
„სსსც ეკვატორის“ ყველა სასწავლო აუდიტორია, სამასწავლებლო ოთახი, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციული ერთეული აღჭურვილია ქსელში ინტეგრირებული კომპიუტერული ტექნიკით. IT ინფრასტრუქტურა მოიცავს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასაც, რომლის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი.
2024 წლის დეკემბერს განხორციელებული საინვენტარიზაციო აღწერის დოკუმენტის შესაბამისად, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებისა და თანამშრომელთა რაოდენობის შესაბამისი ტექნიკური რესურსები მოიცავს:

- **62 ერთეულ კომპიუტერს**, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესისთვის საჭირო პროგრამებით;
- **11 ერთეულ პრინტერს/ასლგადამღებს**;
- **12 ერთეულ პროექტორს** და სხვა დამხმარე IT მოწყობილობებს.

აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ძირითადი და დამხმარე პროცესების უწყვეტ და ხარისხიან ფუნქციონირებას.
ინდიკატორის 5.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილრბულია.

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

2025 წლის 17 თებერვლის დირექტორის №2388 ბრძანებით შპს „სსსც ეკვატორში“ დამტკიცდა დოკუმენტი „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“, რომელიც სისტემურად არეგულირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის ძირითადი მიმართულებების ფარგლებში არსებულ პოლიტიკასა და პროცესებს.
დაწესებულების მიერ დადგენილი წესი მიზნად ისახავს:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის ამოცანების განსაზღვრას;
- ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძვლებისა და პრინციპების დადგენას;
- IT ინფრასტრუქტურის მომხმარებელთა მართვის წესების ჩამოყალიბებას;
- ახალი ტექნოლოგიური სისტემების დანერგვისა და არსებული ინფრასტრუქტურის განვითარების საფუძვლების განსაზღვრას;
- საზიანო პროგრამული უზრუნველყოფის კონტროლის მექანიზმებისა და ვირუსებისგან დაცვის პრევენციული ზომების დანერგვას;
- კომპიუტერული და საინფორმაციო ქსელების ადმინისტრირების წესების განსაზღვრას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის კომპონენტების, რისკების მართვისა და ეფექტიანობის შეფასების პრინციპების ჩამოყალიბებას.

დოკუმენტი უზრუნველყოფს ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების მდგრად და უსაფრთხო ფუნქციონირებას. დადგენილი წესის პრაქტიკულ აღსრულებასა და IT ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, რომელთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა აღჭურვილია თანამედროვე ანტივირუსული სისტემებით, რაც საგრძნობლად ამცირებს კიბერუსაფრთხოების რისკებს.

ინდიკატორის 5.2.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილრბულია.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;**

შპს „სსსც ეკვატორს“ პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 7/08 ერთი მხრივ ა(ა)იპ-საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და მეორე მხრივ შპს „მონაცემთა დაცვის“ გუნდთან. შესაბამისად გუნდთან ერთად დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორიცაა: შპს 'საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრ ეკვატორის“ ინციდენტის მართვის პოლიტიკა და პროცედურა, ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი და შპს 'საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორში“ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა, რომელიც აწესრიგებს პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის პოლიტიკას, განსაზღვრავს სავალდებულო პროცედურებსა და პასუხისმგებლობის ზუსტ ფარგლებს.

პერსონალური მონაცემების დამუშავება მოიცავს:

- ადმინისტრაციული პერსონალის,
- პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და
- პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს.

მონაცემთა უსაფრთხო და კანონიერი დამუშავების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია შემდეგი პრინციპები:

- თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესრულებაზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წინასწარი ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე;
- თანხმობა დადასტურებულია შპს „სსსც ეკვატორის“ სერვისებით მოსარგებლე პირებთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმის ეფექტიან და კანონთან შესაბამის მართვაზე ზედამხედველობას ახორციელებს სპეციალურად დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ერთიან სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის სტანდარტების ეფექტიან განხორციელებას და უსაფრთხოების კულტურის განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ინდიკატორის 5.2.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილრბულია.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგებით. ირკვევა რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ, კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის სწავლისა და შრომის შესაბამისი პირობებია შექმნილი. მისი აღნიშვნით, საჭიროების შემთხვევაში სწრაფადვე მიმდინარეობს ხარვეზების აღმოფხვრა. ასევე, მთელი წლის განმავლობაში კოლეჯის ვებ გვერდზე მისი მონაწილეობით და დირექტორთან შეთანხმებით ხდება ინფორმაციის განახლება, კოლეჯის სოციალური ქსელების ტექნიკური ადმინისტრირება და მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში წარმოებს კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისაგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი.

როგორც უკვე აღინიშნა შპს „სსსც ეკვატორის“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მოიცავს როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ისე შესაბამისი პროცესების ფუნქციური ეფექტიანობის რეგულარულ შეფასებას. შეფასების მექანიზმში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების) ჩართულობა, რაც ხორციელდება კვლევის ფორმატით. კვლევა ფარავს ისეთ კრიტიკულ ასპექტებს, როგორიცაა IT რესურსების ხელმისაწვდომობა, საკმარისობა და მიზნობრივი გამოყენება. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯი ადგენს შესაბამის განვითარების გეგმას და ატარებს ინფრასტრუქტურისა და პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებებს, რაც საჭიროების შემთხვევაში მოიცავს ტექნიკური რესურსების განახლებასა და აღჭურვილობის შეკეთება-რემონტს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპის განხორციელებას და საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერით ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს შენარჩუნებას აღნიშნულ დაწესებულებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 5.2.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და როგორც ადმინისტრაციულ/სასწავლო პერსონალთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და მსმენელებთან გამართული გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილია ყველა დასაქმებული პირისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის თანაბარი და შეუზღუდავი წვდომა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებთან.

საშუალება თავისუფალი წვდომისა აღნიშნულ სისტემებთან განსაზღვრულია შპს „სსსც ეკვატორის“ შიდა რეგულაციებითა და შინაგანაწესით, რაც დამატებით იძლევა შესაბამისობის სამართლებრივ გარანტიას. წვდომა ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო, ისე სამუშაო პროცესის განმავლობაში.

კოლეჯის B გარემო, მათ შორის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებებით. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს კომპიუტერი, რომელშიც ინტეგრირებულია სასწავლო რესურსების ელექტრონული ვერსიები, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელი სწავლების პროცესს და აკადემიურ მხარდაჭერას.

აღნიშნული მდგომარეობა ასახავს ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობის მაღალ ხარისხს და უზრუნველყოფს გარემოს, რომელიც ხელსაყრელია თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.

ინდიკატორის 5.2.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დირექტორის მ.შ. 2020 წლის 18 სექტემბრის №17 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს კომუნიკაციის ფორმებს, არხებსა და პასუხისმგებლობის სფეროებს.

კომუნიკაციის მიზნით კოლეჯი იყენებს შემდეგ ოფიციალურ არხებს:

- ელექტრონული ფოსტა: **info@equator.ge** (შიდა კორპორაციული ქსელი – Outlook) და **contact.equator1@gmail.com**, რომელთა მეშვეობით ხორციელდება რეგულარული კომუნიკაცია პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაციის დამატებითი საშუალებებად კოლეჯი იყენებს:

- სოციალურ ქსელებში ოფიციალურ გვერდებსა და დახურულ ჯგუფებს;
- სატელეფონო შეტყობინებებს (ზარები, ტექსტური შეტყობინებები).

კოლეჯს გააჩნია ოფიციალური ვებგვერდი: www.equator.ge, რომელიც ასრულებს როგორც საინფორმაციო, ისე საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებგვერდზე რეგულარულად ქვეყნდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მიმდინარე სიახლეები და სასარგებლო რესურსები პროფესიული სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორის 5.2.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსსც ეკვატორის IT ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები;.
- სსსც ეკვატორის 2025 წლის 17 თებერვლის -№2388 ბრძანებით დამტკიცებული ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრი ეკვატორის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“;
- ხელშეკრულება კოლეჯის IT მენეჯერთან;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული შეთანხმებები პერსონალური მონაცემბის დამუშავების თაობაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და ყველა კატეგორიის პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი სსსც ეკვატორის დირექტორის მ.შ. 2020 წლის 18 სექტემბრის N17 ბრძანებით დამტკიცებულია სსსც ეკვატორის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები;
- შპს „სსსც ეკვატორს“ პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება 7/08 ერთი მხრივ ა(ა)იპ-საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და მეორე მხრივ შპს „მონაცემთა დაცვის“ გუნდთან;
- შპს ‘საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრ ეკვატორის“ ინციდენტის მართვის პოლიტიკა და პროცედურა;
- ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი;
- შპს ‘საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორში“ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა;
- პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

დირექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის N09/ა ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2024 წლის 20 ივნისის N 01 ბრძანებით) დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“ დაწესებულებაში დოკუმენტების აღრიცხვა, მოძრაობასა და შენახვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელიც კოორდინირებას უწევს საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, ინფორმაციის გაცემას, მეთოდურ და ტექნიკურ მომსახურებას, დოკუმენტების დამუშავებას, არქივის წარმოებას და სხვა შესაბამის საქმიანობას. წესით განსაზღვრულია: შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნა; გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის, გაგზავნისა და აღრიცხვის განსხვავებული წესი; ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი; ხელშეკრულებების მომზადებისა და აღრიცხვის წესი; სხდომის ოქმების გაფორმება; კოლეჯის პერსონალის და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეების წარმოების წესი. კოლეჯის მიერ გაცემული მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების - პროფესიული დიპლომების აღრიცხვის წესი.

ინდიკატორის 5.2.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;**

დაწესებულების „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) შემოსული კორესპონდენცია იმავე დღეს წარედგინება კოლეჯის დირექტორს (ან მის მიერ დელეგირებულ პირს) განსახილველად. დირექტორის/დელეგირებული პირის რეზოლუციის საფუძველზე, დოკუმენტაცია გადაეცემა შესაბამის თანამდებობრივ პირს შესასრულებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემაში (Eflow) რეგისტრირებულ თითოეულ დოკუმენტს ავტომატურად ენიჭება უნიკალური რეგისტრაციის ნომერი. დოკუმენტი რეგისტრირდება მიღებისთანავე, აღირიცხება „შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალში“ და ათავსდება შესაბამის საქაღალდეში. დოკუმენტების მიმოქცევა და დამუშავება კოლეჯში ხორციელდება ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით: დოკუმენტაცია გადაეცემა ვიზირების უფლებამოსილ პირებს, შემსრულებლებსა და სხვა შესაბამის ადრესატებს. დოკუმენტების გადაცემა და მათი შესრულებისთვის გადამისამართება სრულდება შემოსვლის დღესვე ან მომდევნო სამუშაო დღეს, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი რეგისტრირებულია სამუშაო დღის დასრულების შემდეგ.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელებული დათვალიერებისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯში დოკუმენტბრუნვის პროცესები უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით და სრულად შეესაბამება დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ წესებს.

ინდიკატორის 5.2.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**

დაწესებულების „საქმისწარმოების წესით“ განსაზღვრულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანის წესი, რაც ითვალისწინებს მონაცემების სრულყოფილად, ზუსტად და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ასახვას.

საინფორმაციო სისტემასთან დაკავშირებული პროცესების მართვაზე პასუხისმგებელია კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა რეესტრის წარმოებას და სისტემაში შესაბამისი მონაცემების დროულ განთავსებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული დათვალიერებისა და მენეჯერთან გამართული გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილია ინფორმაციის სისტემატური და სანდო ასახვა.

ინდიკატორის 5.2.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის „საქმისწარმოების წესით“ განსაზღვრულია როგორც ანგარიშგებების წარდგენის, ასევე შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების ვადები და შესაბამისი პროცედურები. დოკუმენტებზე რეაგირების და მათი შესრულების ვადები სრულად შეესაბამება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში დადგენილ ვადებს და არ აღემატება მათ.

კოლეჯში დოკუმენტბრუნვის პროცესზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომლის ფუნქციაა დოკუმენტაციის შესრულების მონიტორინგი და კორესპონდენციაზე დროული რეაგირების უზრუნველყოფა.

ინდიკატორის 5.2.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი
- საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობა;
- ელექტრონულად გამოცემული ბრძანებები;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- გასაუბრების, დოკუმენტბრუნვის სისტემისა და ელექტრონული ბაზის დათვალიერების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებგვერდი www.equator.ge, რომელზეც საჯაროდ ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია: საკონტაქტო მონაცემები მისამართის მითითებით, კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, კოლეჯის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, იურიდიული დოკუმენტაცია (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, პროფესიული სტუდენტთა ეთიკის კოდექსითა და სხვა დოკუმენტებით), სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, აკადემიური კალენდარი, ინფორმაცია ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები, აგრეთვე მიმდინარე სიახლეები.

დაწესებულებაში მოქმედი წესის შესაბამისად, ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ხდება დირექტორთან შეთანხმებული მასალის საფუძველზე. მასალის ტექნიკურ განთავსებასა და განახლებაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი, რომელიც ვალდებულია შესაბამისი ინფორმაცია ვებგვერდზე განათავსოს 3 სამუშაო დღის ვადაში.

კოლეჯი ასევე იყენებს სოციალურ ქსელს – www.facebook.com. და ელექტრონულ ფოსტის მისამართებს: info@equator.ge. და contact.equator1@gmail.com. აღნიშნული არხებით ხორციელდება კომუნიკაცია როგორც პერსონალთან და სტუდენტებთან, ასევე პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. Facebook გვერდის ადმინისტრირებასა და ინფორმაციების განახლებაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის ვებ და სოციალური პლატფორმების ბოლო პერიოდის აქტივობები, რაც მოიცავდა სხვადასხვა ტიპის პოსტებს, ვიზუალურ და ტექსტურ კონტენტს, ასევე ინფორმაციას მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

ინდიკატორის 5.2.3.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული არ არის უცხოენოვანი ან საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განხორციელება. შესაბამისად, კოლეჯს გააჩნია მხოლოდ ქართულენოვანი ვებგვერდი, რაც შეესაბამება მის სასწავლო და ორგანიზაციულ პროფილს.

ინდიკატორის 5.2.3.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 18 სექტემბრის №17 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“ განსაზღვრავს იმ ინფორმაციას, რომელიც სავალდებულოდ უნდა განთავსდეს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. დოკუმენტის შესაბამისად, ვებგვერდზე სისტემატურად აისახება კოლეჯში მიმდინარე პროცესები და აქტივობები.

ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისთვის პასუხისმგებელ პირს (ადმინისტრატორს) შესაბამისი მასალები მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტესა და სამიზნე აუდიტორიაზე მორგებულობას.

ვებგვერდზე არ აისახება ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლება კოლეჯს ჯერ არ მიუღია, რაც შეესაბამება მის უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს.

ინდიკატორის 5.2.3.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მიზნად ისახავს დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო შეთავაზებების შესახებ.

კატალოგი მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას თითოეული პროგრამის შესახებ, მათ შორის:

- პროგრამის დასახელება;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- პროგრამის მიზნები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა;
- მისაღწევი სწავლის შედეგები;
- ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ.

კატალოგის სტრუქტურა და შინაარსი ორიენტირებულია როგორც ინფორმაციული, ისე სარეკლამო ფუნქციის შესრულებაზე. დადასტურდა, რომ კატალოგი უზრუნველყოფს არსებით და სისტემურად ორგანიზებულ ინფორმაციას კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დაინტერესებული პირების ცნობიერ არჩევანსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

ინდიკატორის 5.2.3.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**

კოლეჯი ყოველწლიურად ახდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას. აღნიშნულის დასტურად კოლეჯმა წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი, რომელიც მოიცავს 2023-2024 წლების პერიოდს.

ინდიკატორის 5.2.3.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხები, მათ შორის ოფიციალური სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორმით გამოკითხვები, ელექტრონული ფოსტა და სხვა კომუნიკაციის საშუალებები.

ექსპერტთა მიერ შემოწმებისას დადგინდა, რომ მიღებული ინფორმაცია სათანადო წესით მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია დროული და მიზნობრივი რეაგირება. მიღებული უკუკავშირი რეგისტრირდება და აისახება სამოქმედო გეგმაში, რაც უზრუნველყოფს ხარისხის სისტემის უწყვეტ გაუმჯობესებას და კოლეჯის საქმიანობის განვითარებას.

ინდიკატორის 5.2.3.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის ვებ გვერდი და სოციალური ქსელის გვერდები;
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიურიანგარიში და რეკომენდაციები;
- პროგრამების კატალოგები;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

დაწესებულების ძირითადი შემოსავლის წყაროა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის ფინანსური მენეჯერი კალენდარული წლის დასაწყისში ადგენს საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების დეტალურ ანალიზს. აღნიშნული ანალიზი მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობის, ფინანსური რესურსების მობილიზაციის ეფექტურობის და შესაძლო რისკების შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფინანსური ანგარიშგების შედეგები გამოყენებულია სამოქმედო გეგმების კორექტირებისა და ფინანსური მართვის პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით. წარმოდგენილია კოლეჯის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება მართვის გადაწყვეტილებების მხარდაჭერისათვის, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ განაწილებას და საქმიანობის ეფექტიანობას.“

ინდიკატორის 5.3.1.1.. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;**

კოლეჯი უზრუნველყოფილია მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებით.

ინდიკატორის 5.3.1.2.. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;**

დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს განთავსებს აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე.

ინდიკატორის 5.3.1.3.. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც აქვეყნებს ვებგვერდზე და წარუდგენს შესაბამის უწყებას, რის საფუძველზეც იგეგმება კოლეჯის შემდგომი აქტივობები.

ინდიკატორის 5.3.1.4.. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამოქმედო გეგმები;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- ბრუნვითი უწყისები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
პროფესიული განათლების დონე	III
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვლის N02 ბრძანებით; განხორციელდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N12964 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ბათუმი, შავშეთის ქ. N33/35 ქ. ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	103

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრ ეკვატორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“** – განხორციელების მიზანშეწონილობა ეფუძნება რიგ გარემოებებს, კერძოდ: კონცეპტუალურ, რესურსულ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ოპერაციულ მიზანშეწონილობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“** სრულ შესაბამისობაშია შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ ინსტიტუციურ პროფილთან, მის განვითარებით პრიორიტეტებთან და სტრატეგიულ მიმართულებებთან. კოლეჯი სპეციალიზებულია საზღვაო სფეროში და ფუნქციონირებს რეგიონში, რომელიც გეოგრაფიულადაც და ეკონომიკურადაც წარმოადგენს საზღვაო სექტორის აქტიურ ცენტრს (ქ. ბათუმი), რაც პროგრამის მიზნობრივ და კონტექსტუალურად შესაბამის განხორციელებას კიდევ უფრო ამყარებს.

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელმა ცენტრმა ეკვატორმა“ პროგრამის „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასადგენად ჩაატარა შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრის ანალიზი და უზრუნველყო შესაბამისი რესურსების მობილიზება.

შიდა ბაზრის კვლევა მოიცავდა ინტერვიუებს დამსაქმებლებთან, ფოკუს ჯგუფებს კურსდამთავრებულებთან და დასაქმების პლატფორმების ანალიზს. გამოვლინდა მაღალი მოთხოვნა ტექნიკურ უნარებზე, როგორიცაა მექანიზმების მომსახურება და შეკეთება, საწვავის ოპერაციები, ვახტის წარმოება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ბაზრის ანალიზის საფუძველზე დადგინდა მოთხოვნა უცხოურ ენებზე, IT უნარებსა და ფსიქოლოგიურ მდგრადობაზე. მეზღვაურის პროფესია ითვლება ერთ-ერთ მაღალანაზღაურებადად. საქართველოში რეგისტრირებულია ~18,000 მეზღვაური, სფეროს წლიური შემოსავალი კი 400 მილიონ ლარს აღწევს. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 50%-ზე მეტია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე. კოლეჯს აქვს სიმულატორებით აღჭურვილი სასწავლო სივრცეები, სახელოსნოები, აუზი და საკონფერენციო დარბაზი. აღჭურვილობის შესაბამისობას ზედამხედველობს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

პროგრამას უზრუნველყოფს 25 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 2 ინსტრუქტორი. კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს მათი პროფესიული განვითარებისა და ხარისხიანი ადმინისტრირების მხარდაჭერას.

ინდიკატორის 2.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“** დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების ვადები და პროცედურა, აგრეთვე პროფესიულ პროგრამაზე წარსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით და პირობებით. ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ჩამოყალიბებულია ისე, რომ უზრუნველყოფს მხოლოდ იმ პირების შერჩევას, რომლებიც ფლობენ შესაბამის წინარე ცოდნას, უნარებს ან/და გამოცდილებას. ეს წინაპირობები ადეკვატურად მიესადაგება პროგრამის შინაარსობრივ მოთხოვნებს და მიმართულია იმისკენ, რომ პროგრამის მონაწილეებმა შეძლონ განსაზღვრულ ვადაში მიაღწიონ სწავლის შედეგებს. შესაბამისად, დაშვების არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან და ხარისხიან განხორციელებას.

შესაბამისად. ინდიკატორის 2.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **“სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 26-ე მუხლით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღრის“ წესს, კოლეჯი პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის ინვენტარით აღჭურვილი გარემოს, მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა შეფასებით ეს მიდგომა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურ ორგანიზებას, ხარისხის კონტროლს და რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხელს უშლის ზედმეტ გადატვირთვას, იცავს სასწავლო პროცესის სტანდარტებს და უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის საჭირო ყურადღებისა და მხარდაჭერის მიღებას.

დოკუმენტის თანახმად **სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება** A, B და C ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საფუძველზე.

A ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის. ის აღჭურვილია:

- პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით,
- დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.

B ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს კომპიუტერულ ლაბორატორიას და მოიცავს:

- კომპიუტერებს, პრინტერს, სასწავლო მერხებს, სკამებსა და პროექტორს.

C ტიპის სასწავლო გარემო გამოიყენება სხვადასხვა პროფესიული პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად და აღჭურვილია მოდულებში განსაზღვრული ინვენტარითა და მატერიალური რესურსებით.

დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულებისთვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ეს თავსებადია ტექნიკურ ნორმებთან და ცვლად მუშაობის რეჟიმთან (არაუმეტეს 2 ცვლისა).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესი ნაწილი მოიცავს პრაქტიკას, რომელიც ხშირად ტარდება ღია სივრცეში ან პრაქტიკის ობიექტზე. შესაბამისად:

- A ტიპის გარემო ერთ ცვლაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით,
- რაც კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას ერთ ცვლაში მიიღოს სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში – ოთხმაგი რაოდენობა.

B ტიპის გარემოში სტუდენტი ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს წლიური 60 კრედიტიდან, რაც ქმნის საშუალოდ 5%-იან დატვირთვას. შესაბამისად, B გარემოში ერთ ცვლაში დასაშვებია სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში – ორმოცმაგი რაოდენობა.

1. პროფესიულ სტუდენტთა საბოლოო ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება A და B გარემოს გათვლებიდან მიღებულ რაოდენობათა შორის **უმცირესი მაჩვენებლის** საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია C გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ან შესაბამისი ფართი.
3. კოლეჯი უზრუნველყოფს მინიმუმ **1 პროფესიულ მასწავლებელს ყოველ 20 სტუდენტზე**.

მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **– სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური** იძლევა **140 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას**.
აღნიშნული რაოდენობა დასაბუთებულია კოლეჯის ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების ანალიზზე დაყრდნობით.

ინდიკატორის 2.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალიერების და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიურების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო პირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის. შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები და პრაქტიკული საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობა ხელს უწყობს, როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების ეფექტიან განვითარებას. რესურსების ადეკვატურობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიან განხორციელებას და სასურველი კვალიფიკაციის შეძენას.

ინდიკატორის 2.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“** არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც ნიშნავს, რომ ყველა შემოთავაზებული მოდული სავალდებულოა სტუდენტებისთვის. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სპეციალობისთვის აუცილებელი საბაზისო და სპეციალიზებული ცოდნისა და უნარების სრული დაცვით გადაცემას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დარგისთვის, როგორიც არის საზღვაო სფერო, სადაც პროფესიული კომპეტენციები მკაცრად რეგლამენტირებულია უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებით.

ინდიკატორის 2.1.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივნისის N10 ბრძანებით, რომლის მე-10 მუხლი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესს, მე-10 მუხლის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლისს 11 თებერვლის N02 ბრძანებით.

ინდიკატორის 2.1.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური"** სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. იგი ზუსტად ასახავს კვალიფიკაციის მიმართულებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ პროფესიულ პროფილს. სახელწოდება არის კონკრეტული, ნათელი და არ არის შეცდომაში შემყვანი, რაც ხელს უწყობს სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებას, როგორც აპლიკანტებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ინდიკატორის 2.1.1.7. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური"** დეტალური განხილვა და ანალიზი, როგორც დოკუმენტაციის შესწავლის, ისე დაწესებულების ადმინისტრაციასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და სხვა ჩართულ მხარეებთან შეხვედრების გზით. შეფასების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამა მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, მათ შორის: პროგრამის მიზანსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სტუდენტთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროცედურებს, შეფასების სისტემას, ზოგად და პროფესიულ მოდულებს, რომლებიც თანდართულია პროგრამის დოკუმენტაციას.

სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 88 კრედიტის (1 კრედიტი–25 საათი) მოცულობის მოდულებს, მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები (6 მოდული) - 17 კრედიტის მოცულობით;
- პროფესიული მოდულები (7მოდული) – 71 კრედიტის მოცულობით.
- პროგრამის ხანგრძლივობაა -61 კვირა.

ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს პროგრამის სტრუქტურული თანხვედრა ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ პროგრამა ითვალისწინებს საზღვაო სფეროს სპეციფიკას და მისი შინაარსი შესაბამისობაშია საერთაშორისო საზღვაო სტანდარტებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისოდ აღიარებას. ასევე პოზიტიურად შეფასდა პროგრამის მიზნობრივი კავშირი შრომის ბაზრის საჭიროებებთან, რაც ასახულია მოდულების შინაარსში და სწავლის შედეგების ფორმულირებაში.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორის 2.1.1.8. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მისია http://www.equator.ge/?lang=ge&do=page&id=1;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური";
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის" წესი;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“** განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას მის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების გამოყენებით. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მფლობელობაში აქვს ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N33/35-ზე მდებარე შენობა და დამატებით, ბათუმგორის ჩიხი N2 პრაქტიკული სწავლების სივრცეები.

დაწესებულებას გააჩნია მიზნობრივად მოწყობილი ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: A და B გარემოს თეორიული სწავლებისათვის (სულ 4 აუდიტორია, აღჭურვილი კომპიუტერებით და სასწავლო პლაკატებით) და C გარემოს, სადაც განთავსებულია პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო სიმულატორები, სამაშველო ტივი, სამედიცინო მულაჟები, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და სხვა სპეციალიზებული აღჭურვილობა.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო გარემოს დათვალიერება, რაც მოიცავდა აუდიტორიებს, პრაქტიკული სწავლების სივრცეებსა და საწვრთნელ ინფრასტრუქტურას.

ექსპერტთა შეფასებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ადეკვატურად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. რესურსები ხელმისაწვდომია სწავლის ყველა ეტაპზე, ხოლო მათი რაოდენობა და მოცულობა გათვლილია სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე, რაც დასტურდება ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე დათვალიერებით.

შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროგრამისთვის **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური”**, ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში აღნიშნული პროგრამისთვის დაწესებულებას ჰყავს 25 პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ დარგობრივ კომპეტენციებს და აკმაყოფილებენ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ მასწავლებელთა რაოდენობა შეესაბამება სასწავლო ჯგუფების ოდენობას, მოდულების მოცულობასა და სემესტრული დატვირთვის განრიგს.
განრიგის მიხედვით, მასწავლებელთა შრომითი დატვირთვა გადანაწილებულია ისე, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის უწყვეტი და სტაბილური განხორციელება, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილში.
ექსპერტთა შეფასებით, მასწავლებელთა რაოდენობა და მათი პროფესიული კომპეტენცია იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის სტაბილურად განხორციელების შესაძლებლობას. თითოეულ მასწავლებელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც განსაზღვრულია სემესტრული ან წლიური დატვირთვა.
მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელება სრულად უზრუნველყოფილია კვალიფიციური მასწავლებლების მიერ, სასურველია გაღრმავდეს თანამშრომლობა საზღვაო ინდუსტრიის პრაქტიკოს სპეციალისტებთან, რათა გაძლიერდეს პროგრამის კავშირი ინდუსტრიის თანამედროვე მოთხოვნებთან და სტანდარტებთან. აღნიშნული კიდევ უფრო გააძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ღირებულებას და გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზარზე.
ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

დაწესებულებაში დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებელს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია სწავლის შედეგების დაგეგმვისა და შეფასების მიმართულებით. მასწავლებელი ითვისებს პროგრამის მიზნებსა და მოდულის მოთხოვნებს, რაზე დაფუძნებით ახდენს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას, რაც შეესაბამება სტუდენტების პროფესიულ განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური", განხორციელებაში ჩართული მასწავლებლები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფილია, როგორც შესაბამისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით, ასევე ხელშეკრულებების, შრომითი ურთიერთობებისა და პროფესიული განვითარების დოკუმენტაციის საფუძველზე. მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების დაგეგმვისა და შეფასების კომპეტენცია, რაც გამოიკვეთა როგორც მათთან ჩატარებული ინტერვიუების, ისე პრაქტიკული მეცადინეობების დაკვირვების შედეგად. დაწესებულებაში რეგულარულად ტარდება მასწავლებელთა განვითარების აქტივობები, მათ შორის კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების შესახებ ტრენინგები, რაც მნიშვნელოვნად ამყარებს მათი პროფესიული კომპეტენციის განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველია დაწესებულებამ განაგრძოს მასწავლებლის მხარდაჭერა პროფესიული განვითარების ტრენინგების თანამედროვე შეფასების მეთოდებსა და სწავლების შედეგებზე დაფუძნებულ დაგეგმვაში.

ინდიკატორის 2.2.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და მოთხოვნები დეტალურადაა განსაზღვრული შპს „სსსც ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციასა და სასწავლო რესურსების მართვაში.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე, ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის სრულ ციკლში, მათ შორის პროგრამის დაგეგმვაში, სასწავლო რესურსების შერჩევასა და განახლებაში, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციასა და პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზებაში. აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელი იცნობს დარგობრივ სიახლეებს და უზრუნველყოფს მათი ეტაპობრივ დანერგვას საგანმანათლებლო პროცესში. ასეთი ჩართულობა დადებითად აისახება პროგრამის ხარისხზე და მის გამართულ ფუნქციონირებაზე.

რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს რეგულარული კავშირი დარგობრივ ექსპერტებთან და დამსაქმებლებთან, რათა პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები მუდმივად შესაბამისობაში იყოს საზღვაო სექტორის მიმდინარე მოთხოვნებთან.

ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა შპს „სსსც ეკვატორის: ბიბლიოთეკის დათვალიერება. აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკისთვის სპეციალურად გამოყოფილი სივრცე, სადაც წარმოდგენილია, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულებას გააჩნია წვდომა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) პორტალზე IMO VEGA, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების განახლებული ვერსიების მიღებასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ბიბლიოთეკარი და მოქმედებს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებს და პერსონალს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსებით სათანადო ტექნიკური უზრუნველყოფით. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია საჭირო მასალის მოძიება. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღის განმავლობაში.

ვიზიტის ფარგლებში, შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები და დადასტურდა, რომ ისინი შეესაბამება პროგრამაში მითითებულ ლიტერატურას. შესაბამისად, უზრუნველყოფილია რესურსების ხელმისაწვდომობა და შესაბამისობა სასწავლო პროცესის მოთხოვნებთან.

ინდიკატორის 2.2.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება. დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებას აქვს სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო. დამონტაჟებულია პანდუსები და არსებობს სათანადოდ მოწყობილი სველი წერტილი, ასევე მოქმედებს დაწესებულების დირექტორის შესაბამისი ბრძანება რომელიც უზრუნველყოფს სსსმ პირების ჩართულობას სასწავლო პროცესში, თუმცა პროგრამის დაშვების წინაპირობის („მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება) და მოდულში არსებული შენიშვნის გათვალისწინებით, მეზღვაურის პროფესიაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება დაუშვებელია. სწავლება შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალური სამედიცინო შემოწმებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადასტურების შემთხვევაში. (სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის ბრძანება №01 „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ). კერძოდ, კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტის მოთხოვნებს, რის მიხედვითაც მას უნდა ჰქონდეს სწრაფად მოძრაობის უნარი, უნდა შეეძლოს წონასწორობის შენარჩუნება, ვერტიკალურ და დახრილ ტრაპებზე ასვლა-ჩამოსვლა, წყალგაუმტარი ჰერმეტული კარების გაღება-დახურვა, ხელების მაღლა აწევა, ადგილზე დგომა, სიარული და აქტიურობის შენარჩუნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მუშაობა შეზღუდულ სივრცეებში და ვიწრო გასასვლელებში გადაადგილება. უფლებამოსილი ექიმი უნდა დარწმუნდეს, რომ კანდიდატს არ აწუხებს წონასწორობის დარღვევა, არ აქვს ისეთი დაავადება ან სისუსტე, რომელიც ხელს უშლის ნორმალურ მოძრაობას და ფიზიკურ აქტივობას. დახმარების გარეშე შეუძლია ვერტიკალურ და დახრილ ტრაპზე ასვლა-ჩამოსვლა, მაღალ ზღუდეებზე გადაბიჯება, ჰერმეტული კარებების ჩამკეტი მოწყობილობის მანიპულირება და სხვა. კოლეჯს დღეისათვის არ ყავს სსსმ და შშმ პირები.

შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულება უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის ფინანსურ მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური"** წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით ფინანსურად მდგრადია.
აღნიშნული ასახულია პროგრამისთვის განსაზღვრულ 987980 ლარიან ბიუჯეტში. ბიუჯეტი მოიცავს, როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილს და ეფუძნება პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილ ვაუჩერებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას. ბიუჯეტის სტრუქტურის მიხედვით, 72% სწავლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ეთმობა, 7% მიმართულია პროგრამის განვითარებაზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი ადმინისტრირებისა და პროგრამული მომსახურების უზრუნველყოფაზე ნაწილდება. პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 24 პროფესიული სტუდენტი.აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტური მასალების ანალიზის შედეგად. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს, როგორც პროგრამის ბიუჯეტის რეალურობას, ისე მიღებული ფინანსური რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მასალები სრულად შეესაბამება ანგარიშში მითითებულ მონაცემებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას.

ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეების შესწავლა;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში 2020 წლის 30 ივნისის N10 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის ეკვატორის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მათ შორის საზღვაო სექტორის რეგულაციებსა და სტანდარტებს, ასევე დამსაქმებლებისგან, პროფესიული სტუდენტებისგან მიღებულ უკუკავშირს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის შესაბამისად. დადებითი პრაქტიკაა, რომ პროგრამის შინაარსის გადახედვა ხდება რეგულარულად. დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა უზრუნველყოფილია, ფორმალური (შეფასების ფორმები) გზით.

ექსპერტების მიერ, დადებითად შეფასდა კოლეჯის პრაქტიკა დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური თანამშრომლობასთან დაკავშირებით. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია უკუკავშირის მიღებისა და დამუშავების მექანიზმების დახვეწა, რათა მიღებული ინფორმაცია უფრო სრულფასოვნად აისახოს პროგრამის განვითარებაში.

საერთო ჯამში, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.3.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცედურების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები აანალიზებენ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე საჭიროებისამებრ განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები, როგორც საგანმანათლებლო პროგრამებში, ასევე ინდივიდუალურ მოდულებში.

შეფასების შედეგები ეფუძნება სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან მიღებულ უკუკავშირს და აისახება პროგრამის შინაარსობრივ ან მეთოდოლოგიურ განახლებებში. პროცესი რეგულირდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესებითა და პროცედურებით.

სასურველია, პროგრამის განახლების პროცესში ჩართულობის განმტკიცება პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების მხრიდან, რაც პროგრამის შინაარსს კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

საერთო ჯამში, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.3.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის ეკვატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- კითხვარები;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“** ხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების დაგეგმილსა და თანმიმდევრულ შესრულებას. სასწავლო პროცესის განხორციელებისას დაცულია პროგრამით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა, მოდულების თანმიმდევრობა და შეფასების ფორმატები. სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია მოდულზე დაშვების წინაპირობა, კრედიტი, საკონტაქტო საათები, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა ხორციელდება სასწავლო გემის დაცვით. სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტის ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წარმართვას პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აღსანიშნია, რომ სასწავლო გეგმა ასახავს პროფესიული განათლების მიზნებს და მორგებულია დარგობრივ მოთხოვნებზე.

ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სტუდენტებთან დაკავშირებული ინდივიდუალური გარემოებების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს მოქნილ რეაგირებას, მათ შორის გრაფიკის კორექტირებასა და დამატებითი მხარდაჭერის შეთავაზებას.

სტუდენტების უკუკავშირი გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის, რაც მიანიშნებს, რომ დაწესებულებას გააჩნია პრაქტიკაში მოქმედი მექანიზმები. ასევე აღსანიშნავია ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესში.

დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო პროცესის შესახებ ხდება დროული ინფორმირება პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასაც.

ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად დაწესებულების A და B სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია. დაწესებულება სწავლებისას იყენებს თანამედროვე სიმულატორებსა და ტრენაჟორებს, კომპიუტერულ პროგრამებს.

ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების მხარდაჭერა. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება შემთხვევა, როდესაც პროფესიულ სტუდენტის სწავლება ძირითადად სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. აღნიშნული ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში დაწესებულება უზრუნველყოფს მაქსიმალურად მორგებულ სასწავლო გეგმას, რომელსაც შეიმუშავებს თავად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები და ადმინისტრაცია აქტიურად რეაგირებენ სტუდენტთა მოთხოვნებსა და სირთულეებზე, რაც სწავლების პროცესს მეტად პერსონალიზებულს და სტუდენტზე ორიენტირებულს ხდის. თუმცა ადმინისტრაციასთან ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ საჭიროება მიმდინარე პერიოდამდე არ დამდგარა.

ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. პარტნიორებთან თანამშრომლობა ფორმალიზებულია შესაბამისი ხელშეკრულებებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის რეალიზებისთვის დაწესებულების მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიასთან და შპს „ლმნტ“ გემ ახტიართან. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები და სტუდენტთა გამტარიანობა, მხარეთა უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებები ფორმდება 3 წლის ვადით. ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე, კერძოდ შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორსა“ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გემ კადეტზე. ხელშეკრულების შესაბამისად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ვალდებულია მიიღოს თავის მცურავ საშუალებაზე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებული უნარ ჩვევების დაუფლების ხელშეწყობის მიზნით. გემზე ვიზიტისას, ექსპერტების მიერ მოხდა გასაუბრება, სტუდენტებთან, გემის კაპიტანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას, ყველა სტუდენტი აღჭურვილი იყო უსაფრთხოების ტექნიკის დამცავი საშუალებებით.

ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ვიზიტის ფარგლებში დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, რაც შეესაბამება, როგორც ზოგად განათლების სტანდარტებს, ასევე პროგრამის დარგობრივ სპეციფიკას. დაწესებულებაში დაცულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმები, უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ვენტილაცია, პირადი დაცვის საშუალებები და პირველადი დახმარებაზე წვდომა.

საზღვაო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე დადებითად ფასდება სიმულატორული გარემოს უსაფრთხოების წესების დაცვა და პერსონალის ინფორმირებულობა.

ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გემბანის რიგითი მეზღვაური;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ინსტრუქცია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუ;
- პრაქტიკის ობიეტთან ვიზიტი;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“** ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება. წესს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია შეფასებების ფორმები, ჩექლისტები, კითხვარები. შეფასების სისტემა განმსაზღვრელი შეფასების გარდა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებასაც. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. განმსაზღვრელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ასევე ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში გამოიყენოს აპელაციის უფლება.

აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ კოლეჯის ვებგვერდზე, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ.

ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისწორესა და სანდოობას. აღნიშნული მექანიზმი მიზნად ისახავს შეფასების შედეგების გადამოწმებას გამჭვირვალობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით.

ვერიფიკაციის პროცედურები წინასწარ განსაზღვრულია და ეყრდნობა ობიექტურ კრიტერიუმებს, რაც არსებითად ზრდის სისტემის სანდოობას და სტუდენტების ნდობას შეფასების პროცესის მიმართ.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 წლის ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განხორციელდა კოლეჯის ორივე მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ეს მიუთითებს დაწესებულების სისტემურ მიდგომაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესისადმი.

ვერიფიკაციის ფარგლებში შეფასდა არა მხოლოდ ფორმალური ინსტრუმენტები (შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და სხვა), არამედ უშუალოდ შეფასების განხორციელების პროცესი და მასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პრაქტიკის რეალურ და ობიექტურ სურათს.

შერჩეული მოდულების რაოდენობა — შესაბამისი პროგრამების მოდულების დაახლოებით 50% — ადეკვატურად ასახავს ვერიფიკაციის მიზნებისთვის საჭირო მოცულობას და უზრუნველყოფს მიღებული დასკვნების წარმომადგენლობითობას. ორივე პროგრამაში ვერიფიცირებული მოდულების შერჩევა დაბალანსებულია ზოგად და პროფესიულ კომპონენტებს შორის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ანალიზის სიღრმესა და უნივერსალურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ შეფასების ობიექტების შერჩევა ეფუძნება რისკების მართვის პრინციპებს, რაც მიუთითებს, რომ კოლეჯი მოქმედებს თანამედროვე ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომების შესაბამისად და პროაქტიულად აფასებს არსებული სუსტ რგოლებს შეფასების სისტემაში.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათთვის ვერიფიკაციის შედეგების ანალიზი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის გაძლიერებას, რაც უზრუნველყოფს დაფუძნებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით სისტემური გაუმჯობესების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების მექანიზმების შემდგომ განვითარებას.

ინდიკატორის 2.4.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესულება ახორციელებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, რაც დათვალიერებული იქნა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. დაწესებულება აწარმოებს პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს, პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებებს ფიზიკური ან/და ელექტრონულ მატარებლებზე ინახავენ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისებს კი უვადოდ, აღნიშნული პროცედურა გაწერილია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებშიც.

ინდიკატორი 2.4.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებებთან, რომელთა განცხადებით, შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.4.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გემბანის რიგითი მეზღვაური
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვლის N02 ბრძანებით; განხორციელდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N12964 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ბათუმი, შავშეთის ქ. N33/35 ქ.ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	107

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრ ეკვატორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – **„გემბანის რიგითი მეზღვაური“** – განხორციელების მიზანშეწონილობა ეფუძნება რიგ გარემოებებს, კერძოდ: კონცეპტუალურ, რესურსულ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ოპერაციულ მიზანშეწონილობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„გემბანის რიგითი მეზღვაური“** სრულ შესაბამისობაშია შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ ინსტიტუციურ პროფილთან, მის განვითარებით პრიორიტეტებთან და სტრატეგიულ მიმართულებებთან. კოლეჯი სპეციალიზებულია საზღვაო სფეროში და ფუნქციონირებს რეგიონში, რომელიც გეოგრაფიულადაც და ეკონომიკურადაც წარმოადგენს საზღვაო სექტორის აქტიურ ცენტრს (ქ. ბათუმი), რაც პროგრამის მიზნობრივ და კონტექსტუალურად შესაბამის განხორციელებას კიდევ უფრო ამყარებს.

პროგრამის შერჩევა ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე საპასუხოდ პროფესიული კადრების მომზადების აუცილებლობას. როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრის ანალიზი ცხადყოფს, რომ გემბანის მეზღვაურის პროფესია დღეს ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად სპეციალობას წარმოადგენს, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების 50%-ზე მაღალი მაჩვენებელი პროგრამის პრაქტიკულ ღირებულებას ადასტურებს.

დაწესებულებას გააჩნია ამ პროფილისთვის შესაბამისი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, მათ შორის: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტრენაჟორები, სწავლების ინფრასტრუქტურა, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და პარტნიორობა სექტორის წამყვან ორგანიზაციებთან. აღნიშნული გარემოებები უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებულ განხორციელებასა და მისი შედეგების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის დანერგვა არა მხოლოდ მიზანშეწონილია, არამედ წარმოადგენს სტრატეგიულად გამართლებულ და ინსტიტუციური განვითარების მომდევნო ნაბიჯს, რომელიც სრულად ეხმიანება კოლეჯის მისია-ხედვას და საგანმანათლებლო სისტემის განვითარებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას.

2. **ინდიკატორის 2.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„გემბანის რიგითი მეზღვაური“** დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების ვადები და პროცედურა, აგრეთვე პროფესიულ პროგრამაზე წარსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით და პირობებით.

ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ჩამოყალიბებულია ისე, რომ უზრუნველყოფს მხოლოდ იმ პირების შერჩევას, რომლებიც ფლობენ შესაბამის წინარე ცოდნას, უნარებს ან/და გამოცდილებას. ეს წინაპირობები ადეკვატურად მიესადაგება პროგრამის შინაარსობრივ მოთხოვნებს და მიმართულია იმისკენ, რომ პროგრამის მონაწილეებმა შეძლონ განსაზღვრულ ვადაში მიაღწიონ სწავლის შედეგებს. შესაბამისად, დაშვების არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან და ხარისხიან განხორციელებას.

შესაბამისად. ინდიკატორის 2.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„გემბანის რიგითი მეზღვაურის“** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 26-ე მუხლით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღრის“ წესს, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის ინვენტარით აღჭურვილი გარემოს, მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა შეფასებით ეს მიდგომა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეფექტურ ორგანიზებას, ხარისხის კონტროლს და რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხელს უშლის ზედმეტ გადატვირთვას, იცავს სასწავლო პროცესის სტანდარტებს და უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის საჭირო ყურადღებისა და მხარდაჭერის მიღებას.

კერძოდ, დოკუმენტის თანახმად **სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება** A, B და C ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საფუძველზე.

A ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის. ის აღჭურვილია:

- პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით,
- დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.

B ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს კომპიუტერულ ლაბორატორიას და მოიცავს:

- კომპიუტერებს, პრინტერს, სასწავლო მერხებს, სკამებსა და პროექტორს.

C ტიპის სასწავლო გარემო გამოიყენება სხვადასხვა პროფესიული პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად და აღჭურვილია მოდულებში განსაზღვრული ინვენტარითა და მატერიალური რესურსებით.

დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულებისთვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ეს თავსებადია ტექნიკურ ნორმებთან და ცვლად მუშაობის რეჟიმთან (არაუმეტეს 2 ცვლისა).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესი ნაწილი მოიცავს პრაქტიკას, რომელიც ხშირად ტარდება ღია სივრცეში ან პრაქტიკის ობიექტზე. შესაბამისად:

- A ტიპის გარემო ერთ ცვლაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით,
- რაც კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას ერთ ცვლაში მიიღოს სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში – ოთხმაგი რაოდენობა.

B ტიპის გარემოში სტუდენტი ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს წლიური 60 კრედიტიდან, რაც ქმნის საშუალოდ 5%-იან დატვირთვას. შესაბამისად, B გარემოში ერთ ცვლაში დასაშვებია სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში – ორმოცმაგი რაოდენობა.

4. პროფესიულ სტუდენტთა საბოლოო ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება A და B გარემოს გათვლებიდან მიღებულ რაოდენობათა შორის **უმცირესი მაჩვენებლის** საფუძველზე.
5. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია C გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ან შესაბამისი ფართი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. კოლეჯი უზრუნველყოფს მინიმუმ **1 პროფესიულ მასწავლებელს ყოველ 20 სტუდენტზე**.

მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია – გემბანის რიგითი მეზღვაური“** იძლევა **140 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას**.

აღნიშნული რაოდენობა დასაბუთებულია კოლეჯის ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების ანალიზზე დაყრდნობით.

შესაბამისად. ინდიკატორის 2.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალიერების და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუერების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „გემბანის რიგითი მეზღვაური” გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო პირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის. შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები და პრაქტიკული საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობა ხელს უწყობს, როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების ეფექტიან განვითარებას. რესურსების ადეკვატურობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიან განხორციელებას და სასურველი კვალიფიკაციის შეძენას.

ინდიკატორის 2.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემბანის რიგითი მეზღვაური“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს.

7. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივნისის N10 ბრძანებით, რომლის მე-10 მუხლი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესს, მე-10 მუხლის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემბანის რიგითი მეზღვაური" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

ინდიკატორის 2.1.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „გემბანის რიგითი მეზღვაური" სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. იგი ზუსტად ასახავს კვალიფიკაციის მიმართულებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ პროფესიულ პროფილს. სახელწოდება არის კონკრეტული, ნათელი და არ არის შეცდომაში შემყვანი, რაც ხელს უწყობს სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებას, როგორც აპლიკანტებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ინდიკატორის 2.1.1.7. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები.

გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 92 კრედიტის (1 კრედიტი–25 საათი) მოცულობის მოდულებს, მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები (6 მოდული) - 17 კრედიტის მოცულობით;
- პროფესიული მოდულები (9 მოდული) - 75 კრედიტის მოცულობით.
- პროგრამის ხანგრძლივობა - 61 კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს პროგრამის სტრუქტურული თანხვედრა ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან. პროგრამა ითვალისწინებს საზღვაო სფეროს სპეციფიკას და მისი შინაარსი შესაბამისობაშია საერთაშორისო საზღვაო სტანდარტებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისოდ აღიარებას. ასევე პოზიტიურად შეფასდა პროგრამის მიზნობრივი კავშირი შრომის ბაზრის საჭიროებებთან, რაც ასახულია მოდულების შინაარსში და სწავლის შედეგების ფორმულირებაში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

შესაბამისად, ინდიკატორის 2.1.1.8. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მისია http://www.equator.ge/?lang=ge&do=page&id=1;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემბანის რიგითი მეზღვაური“;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის“ წესი;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „გემბანის რიგითი მეზღვაური“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას მის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების გამოყენებით. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მფლობელობაში აქვს ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N33/35-ზე მდებარე შენობა და დამატებით, ბათუმგორის ჩიხი N2 პრაქტიკული სწავლების სივრცეები.

დაწესებულებას გააჩნია მიზნობრივად მოწყობილი ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: A და B გარემოებს თეორიული სწავლებისათვის (სულ 4 აუდიტორია, აღჭურვილი კომპიუტერებით და სასწავლო პლაკატებით) და C გარემოს, სადაც განთავსებულია პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო სიმულატორები, სამაშველო ტივი, სამედიცინო მულაჟები, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და სხვა სპეციალიზებული აღჭურვილობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო გარემოს დათვალიერება, რაც მოიცავდა აუდიტორიებს, პრაქტიკული სწავლების სივრცეებსა და საწვრთნელ ინფრასტრუქტურას.
ექსპერტთა შეფასებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ადეკვატურად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. რესურსები ხელმისაწვდომია სწავლის ყველა ეტაპზე, ხოლო მათი რაოდენობა და მოცულობა გათვლილია სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე, რაც დასტურდება ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე დათვალიერებით.
ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის "გემბანის რიგითი მეზღვაური" ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში დაწესებულებას ჰყავს 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც ფლობენ დარგობრივ კომპეტენციებს და აკმაყოფილებენ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
ვიზიტის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ მასწავლებელთა რაოდენობა შეესაბამება სასწავლო ჯგუფების ოდენობას, მოდულების მოცულობასა და სემესტრული დატვირთვის განრიგს.
განრიგის მიხედვით, მასწავლებელთა შრომითი დატვირთვა გადანაწილებულია ისე, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის უწყვეტი და სტაბილური განხორციელება, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილში.
ექსპერტთა შეფასებით, მასწავლებელთა რაოდენობა და მათი პროფესიული კომპეტენცია იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის სტაბილურად განხორციელების შესაძლებლობას. თითოეულ მასწავლებელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც განსაზღვრულია სემესტრული ან წლიური დატვირთვა.
ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებელს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია სწავლის შედეგების დაგეგმვისა და შეფასების მიმართულებით. მასწავლებელი ითვისებს პროგრამის მიზნებსა და მოდულის მოთხოვნებს, რაზეც დაფუძნებით ახდენს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას, რაც შეესაბამება სტუდენტების პროფესიულ განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „გემბანის რიგითი მეზღვაური" განხორციელებაში ჩართული მასწავლებლები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფილია, როგორც შესაბამისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით, ასევე ხელშეკრულებების, შრომითი ურთიერთობებისა და პროფესიული განვითარების დოკუმენტაციის საფუძველზე. მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების დაგეგმვისა და შეფასების კომპეტენცია, რაც გამოიკვეთა როგორც მათთან ჩატარებული ინტერვიუების, ისე პრაქტიკული მეცადინეობების დაკვირვების შედეგად. დაწესებულებაში რეგულარულად ტარდება მასწავლებელთა განვითარების აქტივობები, მათ შორის კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების შესახებ ტრენინგები, რაც მნიშვნელოვნად ამყარებს მათი პროფესიული კომპეტენციის განვითარებას.
სასურველია დაწესებულებამ განაგრძოს მასწავლებლის მხარდაჭერა პროფესიული განვითარების ტრენინგების თანამედროვე შეფასების მეთოდებსა და სწავლების შედეგებზე დაფუძნებულ დაგეგმვაში;
შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და მოთხოვნები დეტალურადაა განსაზღვრული შპს „სსსც ეკვატორის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციასა და სასწავლო რესურსების მართვაში. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე, ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის სრულ ციკლში, მათ შორის პროგრამის დაგეგმვაში, სასწავლო რესურსების შერჩევასა და განახლებაში, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციასა და პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზებაში. აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელი იცნობს დარგობრივ სიახლეებს და უზრუნველყოფს მათი ეტაპობრივ დანერგვას საგანმანათლებლო პროცესში. ასეთი ჩართულობა დადებითად აისახება პროგრამის ხარისხზე და მის გამართულ ფუნქციონირებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს რეგულარული კავშირი დარგობრივ ექსპერტებთან და დამსაქმებლებთან, რათა პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები მუდმივად შესაბამისობაში იყოს საზღვაო სექტორის მიმდინარე მოთხოვნებთან.

ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა შპს „სსსც ეკვატორის" ბიბლიოთეკის დათვალიერება. აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკისთვის სპეციალურად გამოყოფილი სივრცე, სადაც წარმოდგენილია, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულებას გააჩნია წვდომა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) პორტალზე IMO VEGA, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების განახლებული ვერსიების მიღებასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ბიბლიოთეკარი და მოქმედებს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი. სტუდენტებს და პერსონალს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსებით სათანადო ტექნიკური უზრუნველყოფით. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია საჭირო მასალის მოძიება. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღის განმავლობაში.

ვიზიტის ფარგლებში, შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები და დადასტურდა, რომ ისინი სრულად შეესაბამება პროგრამაში მითითებულ ლიტერატურას. შესაბამისად, უზრუნველყოფილია რესურსების ხელმისაწვდომობა და შესაბამისობა სასწავლო პროცესის მოთხოვნებთან.

ინდიკატორის 2.2.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება. დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებას აქვს სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო. დამონტაჟებულია პანდუსები და არსებობს სათანადოდ მოწყობილი სველი წერტილები, ასევე მოქმედებს დაწესებულების დირექტორის შესაბამისი ბრძანება რომელიც უზრუნველყოფს სსსმ პირების ჩართულობას სასწავლო პროცესში, თუმცა პროგრამის დაშვების წინაპირობის („მეზღვაურთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება) და მოდულში არსებული შენიშვნის გათვალისწინებით, მეზღვაურის პროფესიაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება დაუშვებელია. სწავლება შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალური სამედიცინო შემოწმებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადასტურების შემთხვევაში. (სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის ბრძანება №01 „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ). კერძოდ, კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტის მოთხოვნებს, რის მიხედვითაც მას უნდა ჰქონდეს სწრაფად მოძრაობის უნარი, უნდა შეეძლოს წონასწორობის შენარჩუნება, ვერტიკალურ და დახრილ ტრაპებზე ასვლა-ჩამოსვლა, წყალგაუმტარი ჰერმეტული კარების გაღება-დახურვა, ხელების მაღლა აწევა, ადგილზე დგომა, სიარული და აქტიურობის შენარჩუნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მუშაობა შეზღუდულ სივრცეებში და ვიწრო გასასვლელებში გადაადგილება. უფლებამოსილი ექიმი უნდა დარწმუნდეს, რომ კანდიდატს არ აწუხებს წონასწორობის დარღვევა, არ აქვს ისეთი დაავადება ან სისუსტე, რომელიც ხელს უშლის ნორმალურ მოძრაობას და ფიზიკურ აქტივობას. დახმარების გარეშე შეუძლია ვერტიკალურ და დახრილ ტრაპზე ასვლა-ჩამოსვლა, მაღალ ზღუდეებზე გადაბიჯება, ჰერმეტული კარებების ჩამკეტი მოწყობილობის მანიპულირება და სხვა. კოლეჯს დღეისათვის არ ყავს სსსმ და შშმ პირები.

შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფუნქციონირება ფინანსურად უზრუნველყოფილია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემბანის რიგითი მეზღვაური“ წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით ფინანსურად მდგრადია.

აღნიშნული ასახულია პროგრამისთვის განსაზღვრულ 754880 ლარიან ბიუჯეტში. ბიუჯეტი მოიცავს, როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილს და ეფუძნება პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილ ვაუჩერებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას. ბიუჯეტის სტრუქტურის მიხედვით, 70% სწავლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ეთმობა, 7% მიმართულია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებაზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი ადმინისტრირებისა და პროგრამული მომსახურების უზრუნველყოფაზე ნაწილდება. პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტი.

აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტური მასალების ანალიზის შედეგად. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს, როგორც პროგრამის ბიუჯეტის რეალურობას, ისე მიღებული ფინანსური რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მასალები სრულად შეესაბამება ანგარიშში მითითებულ მონაცემებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გემბანის რიგითი მეზღვაური;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეების შესწავლა;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

დაწესებულებაში 2020 წლის 30 ივნისის N10 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის ეკვატორის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მათ შორის საზღვაო სექტორის რეგულაციებსა და სტანდარტებს, ასევე დამსაქმებლებისგან, პროფესიული სტუდენტებისგან მიღებულ უკუკავშირს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის შესაბამისად. დადებითი პრაქტიკაა, რომ პროგრამის შინაარსის გადახედვა ხდება რეგულარულად. დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა უზრუნველყოფილია, ფორმალური (შეფასების ფორმები) გზით.

ექსპერტების მიერ, დადებითად შეფასდა კოლეჯის პრაქტიკა დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური თანამშრომლობასთან დაკავშირებით. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია უკუკავშირის მიღებისა და დამუშავების მექანიზმების დახვეწა, რათა მიღებული ინფორმაცია უფრო სრულფასოვნად აისახოს პროგრამის განვითარებაში.

საერთო ჯამში, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.3.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცედურების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები აანალიზებენ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე საჭიროებისამებრ განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები, როგორც საგანმანათლებლო პროგრამებში, ასევე ინდივიდუალურ მოდულებში.

შეფასების შედეგები ეფუძნება სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან მიღებულ უკუკავშირს და აისახება პროგრამის შინაარსობრივ ან მეთოდოლოგიურ განახლებებში. პროცესი რეგულირდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესებითა და პროცედურებით.

სასურველია, პროგრამის განახლების პროცესში ჩართულობის განმტკიცება პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების მხრიდან, რაც პროგრამის შინაარსს კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

საერთო ჯამში, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.3.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის ეკვატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- კითხვარები;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემბანის რიგითი მეზღვაური“ ხორციელდება ხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების დაგეგმილსა და თანმიმდევრულ შესრულებას. სასწავლო პროცესის განხორციელებისას დაცულია პროგრამით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა, მოდულების თანმიმდევრობა და შეფასების ფორმატები. სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია მოდულზე დაშვების წინაპირობა, კრედიტი, საკონტაქტო საათები, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა ხორციელდება სასწავლო გემის დაცვით. სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტის ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წარმართვას პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აღსანიშნია, რომ სასწავლო გეგმა ასახავს პროფესიული განათლების მიზნებს და მორგებულია დარგობრივ მოთხოვნებზე.

ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სტუდენტებთან დაკავშირებული ინდივიდუალური გარემოებების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს მოქნილ რეაგირებას, მათ შორის გრაფიკის კორექტირებასა და დამატებითი მხარდაჭერის შეთავაზებას.

სტუდენტების უკუკავშირი გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის, რაც მიანიშნებს, რომ დაწესებულებას გააჩნია პრაქტიკაში მოქმედი მექანიზმები. ასევე აღსანიშნავია ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესში.

დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო პროცესის შესახებ ხდება დროული ინფორმირება პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასაც.

ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემბანის რიგითი მეზღვაური“ ყველა მოდულის განსახორციელებლად დაწესებულების A და B სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია. დაწესებულება სწავლებისას იყენებს თანამედროვე სიმულატორებსა და ტრენაჟორებს, კომპიუტერულ პროგრამებს.

ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების მხარდაჭერა. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება შემთხვევა, როდესაც პროფესიულ სტუდენტის სწავლება ძირითადად სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმით ვერ განხორციელდება. აღნიშნული ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში დაწესებულება უზრუნველყოფს მაქსიმალურად მორგებულ სასწავლო გეგმას, რომელსაც შეიმუშავებს თავად პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.
აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები და ადმინისტრაცია აქტიურად რეაგირებენ სტუდენტთა მოთხოვნებსა და სირთულეებზე, რაც სწავლების პროცესს მეტად პერსონალიზებულს და სტუდენტზე ორიენტირებულს ხდის. თუმცა ადმინისტრაციასთან ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ საჭიროება მიმდინარე პერიოდამდე არ დამდგარა.

ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. პარტნიორებთან თანამშრომლობა ფორმალიზებულია შესაბამისი ხელშეკრულებებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის რეალიზებისთვის დაწესებულების მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან და შპს „ლმნტ“ გემ ახტიართან. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები და სტუდენტთა გამტარიანობა, მხარეთა უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებები ფორმდება 3 წლის ვადით. ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე, კერძოდ შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორსა“ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გემ კადეტზე. ხელშეკრულების შესაბამისად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ვალდებულია მიიღოს თავის მცურავ საშუალებაზე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებული უნარ ჩვევების დაუფლების ხელშეწყობის მიზნით. გემზე ვიზიტისას, ექსპერტების მიერ მოხდა გასაუბრება, სტუდენტებთან, გემის კაპიტანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას, ყველა სტუდენტი აღჭურვილი იყო უსაფრთხოების ტექნიკის დამცავი საშუალებებით.

ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში დასტურდება, რომ რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემბანის რიგითი მეზღვაური“ განხორციელება მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, რაც შეესაბამება, როგორც ზოგად განათლების სტანდარტებს, ასევე პროგრამის დარგობრივ სპეციფიკას. დაწესებულებაში დაცულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმები, უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ვენტილაცია, პირადი დაცვის საშუალებები და პირველადი დახმარებაზე წვდომა.

საზღვაო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე დადებითად ფასდება სიმულატორული გარემოს უსაფრთხოების წესების დაცვა და პერსონალის ინფორმირებულობა.

ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გემბანის რიგითი მეზღვაური;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ინსტრუქცია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუ;
- პრაქტიკის ობიეტთან ვიზიტი;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

b. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემბანის რიგითი მეზღვაური“ ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება. წესს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია შეფასებების ფორმები, ჩექლისტები, კითხვარები. შეფასების სისტემა განმსაზღვრელი შეფასების გარდა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებასაც.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ასევე ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში გამოიყენოს აპელაციის უფლება.

აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ კოლეჯის ვებგვერდზე, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ.

ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

c. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისწორესა და სანდოობას. აღნიშნული მექანიზმი მიზნად ისახავს შეფასების შედეგების გადამოწმებას გამჭვირვალობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით.

დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცედურები წინასწარ განსაზღვრულია და ეყრდნობა ობიექტურ კრიტერიუმებს, რაც არსებითად ზრდის სისტემის სანდოობას და სტუდენტების ნდობას შეფასების პროცესის მიმართ.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 წლის ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განხორციელდა კოლეჯის ორივე მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ეს მიუთითებს დაწესებულების სისტემურ მიდგომაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესისადმი.

ვერიფიკაციის ფარგლებში შეფასდა არა მხოლოდ ფორმალური ინსტრუმენტები (შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და სხვა), არამედ უშუალოდ შეფასების განხორციელების პროცესი და მასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პრაქტიკის რეალურ და ობიექტურ სურათს.

შერჩეული მოდულების რაოდენობა — შესაბამისი პროგრამების მოდულების დაახლოებით 50% — ადეკვატურად ასახავს ვერიფიკაციის მიზნებისთვის საჭირო მოცულობას და უზრუნველყოფს მიღებული დასკვნების წარმომადგენლობითობას. ორივე პროგრამაში ვერიფიცირებული მოდულების შერჩევა დაბალანსებულია ზოგად და პროფესიულ კომპონენტებს შორის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ანალიზის სიღრმესა და უნივერსალურობას.

აღსანიშნავია, რომ შეფასების ობიექტების შერჩევა ეფუძნება რისკების მართვის პრინციპებს, რაც მიუთითებს, რომ კოლეჯი მოქმედებს თანამედროვე ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომების შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ვერიფიკაციის შედეგების ანალიზი უწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის გაძლიერებას, რაც უზრუნველყოფს დაფუძნებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით სისტემური გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენასა და სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების მექანიზმების განვითარებას.

ინდიკატორის 2.4.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

d. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესულება ახორციელებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, რაც დათვალიერებული იქნა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. დაწესებულება აწარმოებს პროფესიული სტუდენტის პირად საქმებს, პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებებს ფიზიკური ან/და ელექტრონულ მატარებლებზე ინახავენ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისებს კი უვადოდ, აღნიშნული პროცედურა გაწერილია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებშიც.

ინდიკატორი 2.4.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

e. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლებთან, რომელთა განცხადებით, შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.4.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი - 25.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: